

1917

ՀԱՅԿԱՅԻՆ  
ՆՈՒՆԱԲՈՒՅՑ

# ՆԱԽԱԳԻՐ



Գ. ԴՈՐԱՆԻ

# შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“



|  |     |
|--|-----|
| I ჩიტი არ მოკლა, ცოდოა! სურათი . . . . .   | 66  |
| II ყმაწვილებს, ლექსი აკაკისა, . . . . .  | 67  |
| III პატარა ლეგენდა, ეთერი რაზიკაშვილისა . . . . .  | 69  |
| IV ნეტარ ხსენებული აღ. ჭიჭინაძე (სურათით) . . . . .  | 70  |
| V კაცის სიხარბე სადამდის მივა . . . . .  | 72  |
| VI ნატვრის თვალი ზღაპარი გ. დ. ჭრელაშვილი-<br>სა, (დასასრული) . . . . .  | 74  |
| VII გაზაფხული, ლექსი ვანო ჭიჭინაძისა . . . . .   | 79  |
| VIII იმედი ყოველთვის უნდა გქონდეთ! . . . . .   | 80  |
| IX კოწო და მისი ნაცნობები ან. წერეთლისა . . . . .  | 84  |
| X გამოჩენილი მოგზაური დავით ლივინგსტონი,<br>ან. წერეთლისა . . . . .  | 90  |
| XI წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გა-<br>მოსათქმელი, სახუმარო, რებუსი, შარადა, ახ-<br>სნა და სურათზე დაწერილი ამბები . . . . . | 96  |
| <hr/>  |     |
| XII გარიჟრაჟი, ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . .   | 101 |
| XIII ცოცხალი სათამაშო, ან. წერეთლისა . . . . .   | 102 |
| XIV აღექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე, ეკ. გაბაშვი-<br>ლისა . . . . .  | 107 |
| XV მოგონება, სადიკოსი . . . . .  | 109 |
| XVI მეჯინიბე მეფე, მღვდ. მაქარაშვილისა . . . . .   | 115 |
| XVII დამწვარი უგრეხელა, ტასოსი . . . . .   | 120 |
| XVIII კეთილი გულის გოგია, ვანო საათაშვილისა . . . . .  | 123 |

მიიღება ხელის მოწერა

# ჯ ე ჯ ი ლ ზ ე

1917 წლისა

ოცდა მერვე წელიწადი

899.369.1(05)

5-40



ქართული  
ზიზლიროთქც



# საგმარლო ნახტებიანი ქურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, ვახდი ყანო!..

ი. დ.

1109.

თებერვალი, 1917 წ.

1557


◆ წ ე ლ ი წ ა დ ი ო ც დ ა მ ე რ ვ ე ◆

|          |   |
|----------|---|
| ქართული  | № |
| თარგმანი | № |
| კანკოლი  | № |
| წიგნი    | № |
| სახელი   | № |

თბილისი

სტამბა „ქართლი“, პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის უბანი № 1.

1917





ჩიტი არ მოჰკლა, ცოდვაა!

## ყაფვილებს! \*)



ე რომ ზატარა ვიყავი,  
 ზატარა ბიჭუკეკლა,  
 არც ნაკლები და არც მეტი  
 მაგრე ოდენ თქვენ სელა,  
 დიდათ მეჩვენებოდენ,  
 მე უფროსები ვეკლა.

მაგრამ რომ გავისარდე,  
 ცოტა რომ შევისწავლე  
 და შეგნებით ცხოვრებას  
 თვალ-უური შემოვავლე,

ვნახე რომ ასში მხოლოდ  
 ორი-სამი კარგია  
 და, დანარჩენი, სსუები  
 ქვეყანას არ არგია.

მათი მცნება ძალაა,  
 მოძრეობა!.. მუჭია!..  
 და სათაუვანო ქვეყნად,  
 უსულ-გულო კუჭია!..


და თქვენც კი არ მიჭბამოთ  
 იმ «მუჭია-კუჭიას»

და მათ არ დაემსგავსოთ  
სულ უბრალო რამ ჭიას.

—

სამშობლოსთან გიუფარდესთ  
ერთად ქვეყნიერება!..  
მხოლოდ სიუფარულობა  
კაცის ბედნიერება!!

აკაკი



\*) ავტორისაგან გაღმობი (კემული).

## პატარა ლეგენდა.



ველ დროში სცხოვრობდა ერთი წმიდანი. იმისი სიწმიდე ისე დიდი იყო, რომ ანგელოზები გაკვირვებას იუვენ და ბოლოს ღმერთს დაუწვეს თხოვნა: «ღმერთო მიეცი იმას ისეთი ძალა, რომ სასწაულები მოხდესა შექმლოსო».

ღმერთმა უწასუსა:

«წადით, თითონ იმას ჰკითხეთ, რა უნდაო!»

დაეძვენ ანგელოზები მაშინვე დედამიწისკენ, ღვთის ბრძანების ასასრულებლათ.

«ნუ მომაკლებს ღმერთი თავის წყალობასო».

მაგრამ ანგელოზები ძანც არ ეძებოდენ.

— კარგო—უწასუსა მოხუცმა.— მე მინდა ისე ვსთესო სიკეთე, რომ თითონაც ვერ ვგრძნობდეო!

ამისთანა თხოვნით შემკრთაღმა ანგელოზებმა დაიწვეს ბჭობა და გადასწუვიტეს: მოხუცის აზრდილისთვის მიეცათ ისეთი ძალა, რომ ვინაც კი მოხუცდებოდა ეს ჩრდილი—გაკურნებოდა ეოველივე სენისაგან.

და ასე სთესაუდა ეს მოხუცი სიკეთეს.

## პაცის სიხარზე საღამოს მივა!



ანადიროთ დადიოდენ სოლმე ორი  
მონადირე, ერთსეჲლ მიდიოდენ გაუ-  
ვალ ტეეში, ბილიკით.

დაუსუდათ ერთი მოსუცებული და  
ამ მოსუცებულმა უთხრა:

— ნუ წახვალთ, მონადირენო,  
ამ ბილიკით.

— რატომ, ჰანაჲ?

— მაგ ბილიკსე გველი და-

ვისუდებათ და ცოცხალს არ გაგატარებსთ.

— მადლობელი ვართ, ჰანაჲ, რომ გაგვაფრთ-  
სილეთ.

მოსუცებულმა გაიარა. მონადირეებმა იფიქრეს,  
იფიქრეს და ასე გადასწვიტეს:

— რას გვიხამს გველი! დუთის მადლით იარა-  
ღი თანა გვაქვს. განა ვერ მოვკლამთ გველს?

და გაუდგენ ისევ გზას, ცოტა გაიარეს და რას  
ხედავენ, ბილიკსე აუარებელი ფული ჰქვია. გაე-  
ცინათ მონადირეებს.

— ხედავთ იმ ბებერ ცულლუტს. ჩვენ რომ არ  
წამოვსულიყავით ის თვითონ აიღებდა ამ ფულს, ახ-  
ლა ჩვენ ვერც კი მოვერევით წადებას.

მოუსხდენ ამ ფულს და ფიქრობენ, როგორ წავიდეთ სასლშიო. მერე ერთმა უთხრა მეორეს:

— წადი სასლში, მოიყვანე ცხენი. თორემ ამოდენა ფულს როგორ წავიღებთო.

ერთი დარჩა ფულთან. მეორე ცხენის მოსაყვანათ წავიდა.

— ბარემ შედი ჩემ დედაკაცთან და ცოტა ჰური გამოაროვი.

ამხანაგი წავიდა ცხენსე სასლში და უთხრა თავის ცოლს:

— რომ იცოდე, დედაკაცო, ღმერთმა რა მოგვცა.

— მითხარი ჩქარა, რა იმოყუე.

— აუარებელი ფული. რაც უნდა ვხარჯოთ ვერ დაუხარჯამთ. ჩვენ შეილებსაც და შეილი-შეილებსაც ეუოფათ! აბა, ცეცხლი დაანთე, ცომი მოზილე, შიგსაწამლაჳი ჩაატანე. მე ვეტყვი ამხანაგს რომ ცოლმა გამოგიკსაფნა ჰური-თქო.


ცოლმა აასრულა, გამოაცხო საწამლაჳიანი ჰური, კაცმა შეაბა ურემში ცხენი და წავიდა ამხანაგთან.

მეორე მონადირემ, რომელიც ფულთან დარჩა გატენა თოფი და ასე ფიქრობდა:

«როგორც კი მოვა, მოვკლავ და ფულები მე დამრჩება. სასლში კი ვიტყვი ამხანაგი არ მინახავს მეტიქი.

მართლაც მიუახლოვდა თუ არა ამხანაგი--ამან ესროლა თოფი და მოკლავ. თვითონ მივარდა სურჯინს, ამოდო მოწამლეული ჰური, შეჭამა და თითონაც მოკვდა.

ფული იქ დარჩა და ორივეს ლეშს კი გველი შეაქცა.



## † ნეტარ სსენიულო ალ. ჭიჭინაძე

შვილი-შვილით.

ერთი საუკეთესო მასწავლებელი, ერთი საუკეთესო აღმსრდელი, რომელიც ორმოცი წელიწადი თავს დასტრიალებდა ეკვლა ჩვენ ბავშვებს, უსომოდ მუშაობდა დღე და ღამ მათ საკეთილდღეოთ-აღარა გვევას. მან ჟურნალ «ჯეჯილს» გამოსვლის დღიდან დიდი ამაგი დასდო. იგი ბეჭდავდა მიფოლოგიურ წერილებს: თესეოსი, ოქროს მატელოფანი ვერძი და იასონი, ჭერაკლი და ბევრი სხვა.

ამ სამი ოთხი წლის წინეთ ბეჭდავდა მრავალ ამბებს ცხელი ქვეყნების მცენარეებზე და ცხოველებზე. რომელიც ცალკე წიგნათაც გამოცემულია.

ძარძან განისრასა განსვენებულმა ცივი ქვეყნების  
ამბების დაწერა. მოათავსა კიდევ «ჯეჯილიძე»: «ეი-  
ნულეთი და ბნულეთი», «ჩრდილოეთის ელვარება»,  
მაგრამ ქართულ გიმნაზიის საქმეების მოწეობას, სხ-  
დაც მეორეთ დანიშნული იყო დირექტორათ, იმდენი  
დრო მოანდობა, რომ ვეღარ განაგრძო, სიკვდილმა  
უსწრო და ვერ დაამთავრა.

დიდება და ზატყვისცემა შენს სსოფნას სამაგა-  
ლითო და თავგანწირულო მამულის შვილო ალექსი.



## ნატვრის თვალი

(დასასრული)



ავარდა დედამიწის ზურგზე კლესის  
 ოჯახის ბედნიერების სმა, ისიც რომ  
 კლესს ნატვრის თვალი აქვს და იმით  
 ჭნატრულობს რაც კი რამ უნდა. გა-  
 იგო ეს ამბავი ცხრა-მთას იქით ერთ-  
 მა კუდიანმა ბებერმაც, შემურდა იმა-  
 თი ბედნიერება და გადასწევიტა ნატვ-  
 რის თვალის მოხარვა. ერთ დღეს გამოეწეო ბებერი  
 სამკზავროთ, აიღო ხელში ეავარჯენი, მოიკრუნჩხა  
 ორათ და გამოსწია. გადმოიარა მთა, გადმოიარა  
 ბარი—სღვა, კლდე, ღრე და მოადგა ჩუენი ნაცნო-  
 ბი კლესის ოჯახს. კლახის სასით შევიდა ესოში.  
 საღამო იყო. ბებერმა სთხოვა კლესს ღამე გაეთიე-  
 ბინა. კლესმა დიდის სიამოვნებით მიიღო კლახა.  
 ერთი ღამის მაგიერ ბებერი კარგა სახს დარჩა კლეს-  
 თან. ასე რომ გაიგო ყველაფერი შინაური და გარეული,  
 გაიგო ისიც სად ინახავდა ემაწვილი ნატვრის-თვალს.  
 იდროვა ბებერმა დრო და ერთ დღეს, როდესაც კლესს  
 დიდი წვეულება ჰქონდა, ვასშმის შემდეგ ყველას დაღ-  
 ლილ დაქანცულებს დაემინათ—შევიდა ბებერი ვაჟის  
 საწოლში, ამოიღო ვაჟის უბიდან ნატვრის თვალი

და ინატრა: აბა ნატურის თვალოვო ამხვი, დაძსვი და ცხრა მთას იქით ჩემ ქოსში დაძსვიო. ნატურა ბებერს მაშინათვე აუცხადდა. მეორე დღეს ემაწვილმა გამოიღვიძა. ინახა უბეში ნატურის თვალი და აღარა ჰქონდა, მოიკითხეს ბებერი და აღარც ბებერი იყო. დაღონდა გლეხის ოჯახსი, მაგრამ რადას ინამდენ. ოჯახსი თანდათან უკან მიდიოდა. ძაღლსა და კატასაც მოაკლდათ ჰატვი. ერთ დღეს ძრეულ მოძმე-ბული კატა მივიდა ძაღლთან და უთხრა: მეკობარო, განსომს რა დღეს გადაგვარჩინა ჩვენმა ჰატრონმა, რა დღეში ვიუაფით, როგორ გვინახავდა და ესლა რა დღეში ჩავარდა თითონ და რა დღე მოგვეკლის ჩვენც იმისი სიღარბით: მოდი და წავიდეთ, მოვიაროთ მთელი დედაძიწის სურგი, იქნება ვიპოვოთ ნატურის თვალი სადმე და ჩვენც ჩვენის მხრით ერთი რამ სიკეთე გადუნადოთ ჩვენს ჰატრონსაო.—კარგიო, უნახუსა ძაღლმა კატას. ადგენ ერთ დღეს, მივიდენ ორივენი ვაჟთან და სთხოვენ: ნება მოგვეცი წავიდეთ ნატურის თვალის საძებრათაო.—წადითო უთხრა ემაწვილმა წავიდენ კატა და ძაღლი ნატურის თვალის საძებნელათ. იარეს ბებერი, იარეს ცოტა და მიადგენ ერთ უშველებელ ზღვას. *ლღა მახ*

რა ქნან. კატამ ცურვა არ იცის და წვალში ფეხის დასველებაც ეძნელება, ძაღლმა უთხრა კატას: მეკობარო, მაგასე ნუ სწუხარ, მოდი შენ სურგზე შემჯექ და ზღვას მე გაგიუვანო. შეაჯდა კატა ძაღლს სურგზე, ძაღლი შევიდა ზღვაში და დაიწყო ცურვა. ბებერი ცურვის შემდეგ კატა და ძაღლი გავიდენ

სღვას. ჰხედავენ სღვის ზირსე დგას ერთი უშველე-  
 ბელი სასლი და კაბქეს ოქროს ფრათ ღაზღაზი.  
 მონაჯირსე გადმოძღვარბ ერთი ბებური და გადმოჭ-  
 კივის მოსამსახურეებს.—თუ არ ვცდები სამებარი ვი-  
 ზოვეთ, უთხრა კატამ ძაღლს, ეს ბებური ნამდვილათ  
 იმ ბებურსა ჰგავს, რომელმაც ჩვენ ზატრონს ნატურის-  
 თვალი მოჭმარაო. ძაღლი დაეთანხმა. მამინ კატამ  
 უთხრა ძაღლს:—შენ, მეგობარო, დიდი შრომა გასწიე  
 სღვაში ცურვის დროს და დაღლილი ხარ, დაწე აქ  
 და შეისვენე, მე წავალ და როგორმე შევეტეუები სა-  
 სასლეში და იქნება ნატურის თვალის ვიგდო ხელ-  
 შიო. ძაღლი მიწვა წელის ზირსე და მიიძინა, კატა  
 წავიდა სასლისკენ, შევიდა ესოში და გააბა ერთი  
 განუწვევტელი კნავილ-ჩსავილი. იკნავლა კატამ, ის-  
 სავლა იქამდისინ, რომ ბებურმა უურადღება მიაცნია  
 იმის კნავილს და გადმოკივლა მოსამსახურეებს: ემაკ  
 კატას რა აკნავლებსო? მიეცით საჭმელიო. მოსამსა-  
 ხურეებმა აჭამეს კატას, მაგრამ კატამ მინც კნავილი  
 არ შესწვიტა, ბებური უფრო გაჯავრდა. უბრძანა  
 კატა იმასთან მიეყვანათ. მიჰკვარეს კატა ბებურს.  
 ბებურმა მოუაღერსა კატას, კატა დაჩუმადა. ბებურმა  
 თავი მოიწონა და უფრო შეუტია მოსამსახურეებს  
 რომ იმისი აღერსი და გულის ზასუსი უენოსაც კი  
 ეყურება და იმათ კი ვერ შესძინა-რა.

კატამ დასხა თვალები, მითომდა მძინავსო და  
 იეურებოდა კი ქვეშ-ქვეშ სად რა სდებოა. დაღამდა.  
 ბებურმა უბრძანა მოსამსახურეებს კატა იმის საწოლ  
 ოთახში შეეყვანათ. ბებურის ბრძანება ასრულდა. კა-



ტასაც რასაკვირველია ეს უნდოდა. მოვიდა ვახსმის ბის დრო, ბებერმა ამოიღო უბიდან ნატურის-თვალი და აბა რა გინდა თვალო და გულო ინატრა ათას ნაირი საწუთრო და ივასძმა, კატამაც, რამდენიმე დღის მშვიერმა კარგა მოისწორა კუჭი. ვახსმის შემდეგ, გააღო ბებერმა ფანჯრის კარი, გაისწორა ლოკინი, დადვა ნატურის-თვალი იქვე ფანჯარასე და მოისვენა.

კატამ იდროვა, რა თქვა რომ ესაა ბებერი კარგა დრმა ძილს მიეცაო, მივიდა ფანჯარასთან, დააულო ზირი ნატურის-თვალს, გამოძვრა ღია ფანჯარის კარიდან და გამოიძარა. მივიდა განსარეული ძაღლთან, აჩვენა ნატურის-თვალი და უაძხო თავ-გადასალი, ძაღლსაც ძრიელ გაეხარდა ეს აძბავი, მოელა-ზარაკა კატას: შენ ჩემო მეგობარო, სომ იცი ჰატარა ზირი გაქვს და რომ ზღვაში ცურვის დროს არ წამოკვარდეს ზირიდან ნატურის-თვალი და სელმოერეთ არ დაკვარგოთ, მომეცი, მე შევინახამო. კატა დაეთანხმა ძაღლს და გადასცა ნატურის-თვალი და გაეშადენ ორივე სამკ საფროთ. შეჯდა კატა ძაღლზე, ძაღლი შეცურდა ზღვაში და გამოსწიეს. ბებერი ცურვის შემდეგ, გამოვიდენ სანაპიროში. უცბათ ძაღლს ერთმა თევსმა მოახვედრა ბოლო, ძაღლს ეგონა ძაღლი მეცაო, შეუეფა "ჰაფუო", გამოვარდა ზირიდან ნატურის-თვალი და წაიღო წყალმა, გამოვიდენ ნაპირსე ძაღლი და კატა და დაიწიეს საცოდავათ ღმუილ-ქნავილი.

ამ დროს იქვე ახლო მეთევსეები ნადირობდენ თევსზე. მეთევსეებმა მიაქციეს უურადლება ამ კატის

და ძაღლის საცოდაობას. იფიქრეს ეგებ ჭმინათ საწულებსაო, აიღეს და ერთი თევზის თავი გადმოუგდეს, ძაღლს კარგა ხანია არა ეჭამა-რა და მივარდა თევზის თავს. კატამაც დაუწყო ნელ-ნელა თევზს ჭამა. უცბათ კატამ სისარულით წამოიძახა: «ნატურის თვალი ვინაოფო» და მოჰკურცხლა შინისკენ. თურმე ნუ იტყვით, ნატურის თვალი ჩაუელანა იმ თევზს, რომელმაც ძაღლს ბოლო მოახვედრა და მეთევზეებს კიდე დაეჭირათ, თავი მოეჭრათ და ეს მოჭრილი თევზის თავი მეთევზეებს გადმოეგდოთ კატისთვის და ძაღლისთვის, ნატურის თვალი თურმე თევზს იქვე ეელში დასდგომოდა და ჭამის დროს კატა კი მიადგა. კატას დაედევნა ძაღლი უკანიდან და ევედრებოდა მომიცა, მანვე ნატურის თვალიო, მაგრამ კატამ აღარ მოუცადა ძაღლს, რომ ნატურის თვალი კიდე არ დაჰკარგოდათ. ზირველმა მოიბრინა ზატრონთან კატამ და განსარებულმა გადასცა ნატურის თვალი. მოვიდა ძაღლიც. გლეხის ოჯახმა, დიდი მადლობა გადაუხადა კატასაც და ძაღლსაც. ამის შემდეგ ძრეულ ფრთხილათ ინახავდენ ნატურის თვალს და სცხოვრობდენ ბედნიერთ.

ესე ჩემო მვირფასო ზატარა მკითხველებო, ამ ხელათ ეს იუოს და მეორე ხელათ სსვა იქნება.

თქვენი მეგობარი გ. დ. კრელაშვილი.



## გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი



მწვანე ველსე მოჩუხჩუხებს  
 ზაწაწინა ნაკადული,  
 მის ნაპირებს ამშვენებენ  
 ევაზილები მოქარგული.

ნაშიშლები ცაში სცვივა  
 ეპკურება მწვანე მდელოს,  
 ჭიანჭველა იმალება  
 ზრ უნდა რომ დაისველოს.


აგერ ბუჩქსე ბუღბუღი ზის  
 საამურათ უსტვენს, გაღობს,  
 ძიები ფოთლით იმოსება  
 გასაფხულით ეველა ხარობს.

ჰეტრე ადგა გარიჟრაჟსე  
 იქვე ჰირი დაიბანა,  
 ჰირსახოცის მაგიერათ  
 ჩოხის კალთით შეიმძრადა.

თოხი მხარსე გადაიდო  
 სამუშეურათ გაეშურა,  
 მიდის ჰეტრე ჩაფიქრებით  
 უკან მისდევს მისი ბურა.

საღამომდი თოხის ცემით  
 დაელიბ ჰეტრეს ძალი,  
 ვახშმით ცოლმა დაასვედრა  
 ლობიო და ცივი წებალი.

## იველი ყოველთვის უნდა გამოვლით.



რთ ძველ გავერანე-  
 ბულ ბაღში იყო ვრ-  
 თი კვალი, სადაც  
 წინეთ მშვენიერი ვა-  
 რდები ევაოდენ. ეს-  
 ლა ეს კვალი ჭინ-  
 ჭრით და ძურწით  
 (ბირკით) იყო სავსე.

ერთ ძურწის დიდ ფოთოლსე ცხოვრობდა ლო-  
 კოკინა, ამას მთელი თავისი სიცოცხლე აქ გაეტა-  
 რებინა. ადგილიდან ადგილათ არ ინძრეოდა. ძუ-  
 ტადრე იმიტომ, რომ თან დაათრეკდა თავის სოკერს—  
 სახლს.

ამ ფურცლის მეორე მხარეს კი, კარგა ხანი იყო,  
 იღო ჰატარბ ევითელი კვერცხი. ლოკოკინას ძალიან  
 გაუკვირდა რომ ერთ საფსულის თბილ დღეში ამ  
 კვერცხიდან გამოვიდა ჰატარბ მატლი.

ლოკოკინამ ცნობის მოუვარეობით და თან წიხ-  
 ღით შესედა მატლს. ის ძალიან ულამაზო და უძნო  
 ეჩვენა.

მაგრამ როგორც ეტეობოდა მატლი სულაც არ  
 დარდობდა. ის ძალიან მსიარული სასიათისა იყო.  
 ლოკოკინას უკვირდა რომ მატლს ასე ძალიან მო-  
 სწონს ნათელი მზე და სითბო. ლოკოკინას კი წვი-

მიანი დღეები ერჩივნა. მისი სასწრაფო მამინ უფრო  
ხოციერი და უხვი იყო.

მატლი ცოტათითაც კმაყოფილდებოდა.

ერთხელ ლოკოკინამ გაიქნია თავისი რქები და  
გაკვირვებით წამოიძახა:

— მიკვირს, ჩემო კარგო, რომ ეოჯელთვის აგრე  
კმაყოფილი და მხიარული ხარ. განა ჩვენი ცხოვრუ-  
ბა უღარდელი და უნაღულოა?

— ძერე რა გვიჭირს! უთხრა მატლმა, — თუ გვა-  
წუსებს რამე — ეს სომ დროებითია. მე სომ ვიცი რომ  
ძალე მშვენიერ ჰეჟელათ გარდავიქცევი, შემესხმება სა-  
ფერდით რბილი ფრთები. სურნელოჯანება არ მო-  
მაკლდება და მამინ თავისუფლათ გაუფრინდება სულ  
მაღლა, მაღლა, მისი ოქროს სსივებში გავესჟევი  
და ვადიდებ მათ.

ლოკოკინამ ხელ-ახლათ შეანძრია თავისი რქები  
და თქვა:

— მიკვირს ამ ჰატარებს საიდანა აქვთ ამისთა-  
ნა სითამამე, რისი იმედი აქვთ! ღმერთს მაღლობა  
უთხარი თუ ჩემსავით სახლს იმოვი რომ ავდარში  
თავი მაინც შეაფარო. ფრთოსნათ რომ გარდიქცევი  
— ეკ სისუელელე თავში ვინ ჩავიდა?

— ეს სულაც არ არი სისუელელე! მიუგო მა-  
ტლმა. დავიბადე თუ არა, ჩემთან მოფრინდა ჰეჟელა,  
გვერდით მომიჯდა. მე შურით შევხედე, თანაც მის  
ფეროჯან ფრთებს აღტაცებაში მოჟვაჯდი. მან ნახათ  
გადმოხედა და მითხრა:



— მისხრებიან შენთვის, ერთ ღროს შენც მშვენიერ ზეპულათ გარდაიქცევი, ოქროვან მხეს დაინახავ და სუფთა, სწეტაკ ჭაერზე იფრინავ.

— შენც დაიჯერე, რაღა, რაც იმ ებედმა ისულებლა, შეჭევირბ გაჯავრებით ლოკოკინამ.

— დაუიჯერე და მჯერა, წამოიძახა გადაჭრით მატლმა.— მე ვგრძნობ რომ ის მართლს ამბობდა. თორემ რათ უნდა მიხიდავდეს ეს საოცარი, ნათელი მხე. რათ ვუიქრობ სულ მწვანე ბალახსე და სურნელოვან ვეავილებსე. რათ მეღანდებიან ლამასი ზეპულები თუ მე ჩემ დღეში უნდა დავრჩე ასეთ მასინჯჭიათ.

ლოკოკინამ სმა აღარ გასცა. სოლო თაფი გადიქნია.

გავიდა რამდენიმე დღე. მატლი მიწუნარდა, მიხუძდა. სოლო ერთხელ, როდესაც ლოკოკინა მივიდა ერთ დილით მის სანახავათ, მატლი შესვეულიყო რაღაც ქერქში და მკვდარივით ეკდო. ლოკოკინა უძახოდა, უევიროდა, მაგრამ ზასუსი ვერა გაიგონარა.

— საწუბლი, როგორ ეკონა, ზეპულათ გარდაიქცევიო და ახლა არ იმერის, მომკვდარა. რა მებრალეზა, კარგი გულისა იყო. და შეძერა თაფის სოკერში.

გავიდა სანი და ღრო. ლოკოკინამ მიივიწეა თავისი შესობელი. ძველებურათ ცხოვრობდა.

ერთხელ ლოკოკინამ გაიარა იქით, სადაც მატლის საფლავი ეკულებოდა და მეტათ გაკვირვებული შედგა. მატლს ქერქი გასეთქოდა და მშვენიერ ზეპულათ ქცეულიყო. ის მხიარულათ ისწორებდა თაფის საოცარ ლამას ფრთებს.

— გამარჯობა, ლოკოკინაჲ! შედაჲ როგორ მიგ-  
ფრინაჲ! შეჭევირბ ჰენელამ გოცებულ მესობელს—  
და ქარივით გაქრა. ერთი თვალის დასამსამებასჲ  
მზის ოქროს სსიუებში გაეხვია.

ლოკოკინა ერთ წამს შესდგა, თვალდადევნა მას  
და წამოიძახა:

— მე მანც არ დავიჯერებ, რომ ეს ის ჰატა-  
რბ სულელი მატლი უნდა იეოს, რომელსაც მე ვი-  
ცნობდი.

და დინჯათ გაუდგა კზას.

(თარგმანი)

ან. წერეთელისა.



## კოჭო და მისი ნაცნობები.



დაბნოს შვილებო, ნადირობა შეფე  
 კათამამდა, ბევრს გვთხოვს, ჩვენ  
 დიდი ხანია უთმენთ ამგვარ შეურაც-  
 ეოფას, მაგრამ მოთმინებასაც ბო-  
 ლო უნდა ქქონდეს, შევთანხმდეთ  
 და მოჭკვლათ უდაბნოს საშიში შეფე.

მოხუცს დაუჯერეს, შეიარაღდენ რითაც კი შეიძ-  
 ლეს, ზოგმა თოფი აიღო, ზოგმა შუბი, ზოგმა  
 კიდევ შვილდ-ისარნი, ზოგიც ცხენებზე შესდგენ, რომ  
 თუ ლომი გაექცევათ გამოუდგენ, მუ ლომი ამ დროს  
 თაზის ლეკვებით მოშორებით ცხოვრობდა. სვადმა ლომ-  
 მა სსვაგან ვაიკეთა ბუნავი ძველი ბინის ახლოს.

შეიარაღებულნი ჩუმათ მიიწარებოდენ. მოხუცს  
 მიჭებაუდა ისინი, კარვით იცოდა ლომის სასიათი,  
 რადგან არა ერთხელ ენადირობ მასზე.

მიწასზე ჯერ კიდევ ეტეობოდა იმისი კვალი, წინა ღა-  
 მეს რომ ფარესიდან მოხვერს მიათრევედა. ბაღასნი  
 გათელილი იყო და ალაგ-ააღაგ ბუჩქებზე ელორ-  
 ტები განადგურებული იყო. საბრალლო მოხვერის ბაღასნი



მერე შეებრძოლა მეორე წუება, იმათ მაშინვე თოფები დაუძინეს და ლომი მოჭკლეს.

მონადირეებმა დიდი სმაურობა ასტყეს, იმათ სისარულს სახლვარი არ ჰქონდა. ზოგი მივარდა ძვედარ ლომს, და ზოგიც დაჭრილ ამხანაგებს შველოდა.

მოხუცმა შესძახა:

— შესდექით, — ჯერ არ გათავებულა საქმე, მულომთან ბრძოლა ესლავე მოგველის, საცაა გამოჩნდება.

მონადირეებმა საჩქაროთ მოაშორეს დაჭრილი ამხანაგები, და მოემზადენ ახალი ბრძოლისთვის.

მართლაც რამდენიმე წუთის განმავლობაში ბუჩქებიდან გამოჩნდა მულომის მრგვალი თავი. თვალებიდან სიბრახის ნაწერწკლები სცვიოდა, იმას მაშინვე თოფები დაუძინეს. მოხუცი წინამძღოლი კარგი მსროლელი იყო და ჰირდაჰირ თვალსა და თვალს შუა მოახვედრა.

სალხმა ძვედრები და დაჭრილები წაიღეს. ღონიერ სახედრებს აჭკიდეს ძვედარი ლომები.

არც ერთი ცხენი არ მიეკარება ძვედარ ლომს, ისე ეშინიან იმისი, კანკალებს და ცახცახებს. ძვედარ ლომის დანახვასე ადგილიდანაც არ დაიძვრის.

მოხუცებულმა და მისმა შვილებმა აიღეს ბაწარი და წავიდენ მულომის ბუნაკის საძებრათ, ლეკვების წამოსაყვანათ.

მართლაც იპოვეს სამი კარვით მოსრდილი ლეკვები. ისინი ძალიან ღონიერები იყვნენ და დიდის გაჭივრებით შეჭკრეს და ისე წამოასხეს შინ.



საღსმა უველა ლეკვები ქალაქში გაისტუმრეს, ტყავი და სორცი მცხოვრებლებზე გაჰყიდეს, რომელნიც სიამოვნებით სჭამდენ სოღმე.

გული რამდენიმე ნაკუწათ დასჭრეს და ბავშებს შეაჭამეს. საღსს ჰგონია, თუ ემაწვილი შესჭამს ლომის გულს, ისიც ისეთი გამბედავი და ღონიერი იქნება, როგორც ლომი.

ლეკვებიც გაჰყიდეს. ერთი მათგანი ჩაუარდა ხელში ერთ სწავლულს, რომელმაც გამოისარდა და იმაზე ბევრი საუბრადღებო ამბავი გვიამბო.

ამ ახალგაზრდა ლომს დაარქვა სახელად ბასიდა, ის ისე შეეჩვია თავის ჰატრონს, ისე გაშინაურდა, რომ კალიაში არ ამწუდევდა და თავისუფლათ დადიოდა. რასაკვირველია ბევრს აჭმევდენ, და მუდამ გამძღარი ჰქვავდათ, რადგან გამძღარი ლომი არ ერჩის საქონელს.

ბასიდა ძალიან წენარი იყო, უველას ეაღერებოდა, და ამისთანა ლერსით ხშირათ ჰატრონს თავსაც აბეზრებდა.

მას კარგი განწუობილება ჰქონდა შინაურ ცხოველებთან: კატებს, ძაღლებს, თხებს, მაიმუნებს, ცხვრებს ეთამაშებოდა და უუარდა მათი შეშინება, გაწვებოდა წენარათ მიწაზე სუღკანაბული, მერე უცბათ მივარდებოდა რომელიმეს, იმას ძალიან ესიამოვნებოდა, როცა აშინებდა ვისმეს, ხშირათ ადამიანებსაც აშინებდა, თუცა არას ერჩოდა. მაგრამ ორჯერ ცუდი საქმე მოუვიდა, უნებლიეთ სუღმა წასძლია და შესჭამა ჰატარი მაიძენი და ცხვარი, რომელთანაც თავს



მაშობდა, უსათუოთ იმ დღეს გამძლარი არ იქნებოდა, ან კიდევ შეიძლება თამაშის დროს მოჰკლა და მკვდარს გულგრილათ ვერ შეხედა, რომ არ გადაეხანსლა.

სოკჯერ ლომი განრისხდებოდა რამესე, მაგრამ როცა ზატრონი მიუახლოვდებოდა, ისევე დამშვიდდებოდა და დამორჩილდებოდა ზატრონს. ერთსელ ლომი დასაჯეს. ბანდა განრისხდა, მაგრამ მალე დაივიწყა, მივიდა და დაუწყო სელსე ლოკვა ზატრონს.

როდესაც ეს სწავლული ევროპაში ბრუნდებოდა და აფრიკის დიდი მდინარე ნილი უნდა გაეულო, ლომიც თან წამოიყვანა.

სანამ გემი მოძრაობაში იყო ლომი გაღიაში იჯდა, როცა კი გემი ნაპირს მიუახლოვდებოდა, სწავლული ასეირნებდა, მაშინ მის სინარულს სახლვარი არა ჰქონდა: დახტოდა, ცეკვაბდა, მაგრამ ეოველთვის ერთ და იმავე სასიათსე არ იყო.

შინაურ ჰირუტეეებთან უფრო კარგათ გრძნობდა თავს.

ერთ სოფელში კრავი დახარხო და მოიტაცა ზატარა ზანკის ემაწვილი, რომელსაც მაშინვე თავი დაანება, როგორც კი ზატრონი გაუჯავრდა.

სწავლული დაბრუნდა თუ არა ევროპაში, თავის სამშობლო ქალაქში, ბასიტა აჩუქა სოლოლოგიურ ბაღს, სადაც ინახავდენ ბევრს შესანიშნავს სსუა და სსუა ცხოველებს და ფრინველებს, რომ ემაწვილებმაც და დიდებმაც, რომელთაც საშვალება არა აქვსთ იმკსავრონ და ნახონ უველა ქვეყნების ჰირთუტეეები—აქ გაეცნონ,

ამათ ბახიდა სულ გალიაში ჭეუვდათ დამწუვდელი. დარაჯები ვერ ასწრებდენ, რომ უველა ჰირუტეები გაესეირნებიათ. ბახიდამ საშინლათ მოიწეინა. სწავლული ველარ ნახულობდა, რადგან ის ისევე მოკსაურობას შეუდგა.



ორი წლის შემდეგ, როცა სწავლული დაბრუნდა ევროპაში, შევიდა ზოოლოგიურ ბაღში ბახიდა და იკითხა. ბახიდა თითონვე გამოეხმაურა, შორიდანვე იცნო, ცმუტავდა გალიაში, სწავლული მიუახლოვდა, ბახიდამ გამოეო დრუნნი და ჩვეულებრივად მოჭევა ხელების ლოკვას. როდესაც იმან წასვლა დააპირა ბახიდა მოჭევა გალიაში ტრიალს, უნდოდა გაჭეოლოდა თავის ადრინდელ ჰატრონს.

(შემდეგი იქნება.)

## გამოჩენილი მოგზაური

დავით ლივინგსტონი.



დავით ლივინგსტონი გამოჩენილი მოგზაური იყო, ის არ სოგავდა თავის ძალღონეს და აფრიკაში, სანკებთა შორის, მუშაობდა. საღი აკებულობისა, ჯანმრთელი, თანაც კეთილი და გულშემატკივარი იყო. დავითი უშიშრათ გზას იკვლევდა გაუვალ ტყეებში, იმას არ ეშინოდა არც ლომისა და არც სსვა გარეული მსეცებისა, ებრძოდა ეოველივე სენს და სიკვდილსაც კი. ამისთანა დიდებული კაცი, რა ზირობებში აღიზარდა და როგორი ოჯახის შვილი უნდა ეოფილიყო, ამას ვიამბობთ.

დავით ლივინგსტონი დაიბადა შოტლანდიის ერთ ზატარა ღარბ, უმნიშვნელო სოფელში, სადაც ღარბი და უბრალო მუშა სალსი ცხოვრობდა, რომელნიც მომეტებული ბამბის საქსოვ ქარხანაში მუშაობდენ. იმან სიემაწვილე გაატარა მუდამ გაჭივრებაში და ჯაფაში, ის ეოველ დღე იბრძოდა, როგორც ლუკა ზურისთვის ისე ცოდნის მიღებისთვის. თუმცა ნელა-ნელა, ბავში მინც მიზანს ახწევდა.

ბლენტაირის სოფლის ვიწრო ქუჩაში, ამ ასი წლის წინათ, ცხოვრობდა ღარბი სასლობა, გვარათ ლივინგსტონი, მამა, ნედ ლივინგსტონი, შრომის მოეუარე და ზატოხსანი კაცი იყო, მართალია მკაცრი მესედულობისა, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა.



მის ჰანას მეფის მხარე ეჭირა და ბრძოლაში მოკ-  
კლეს. დედა კი თავისი ძმრით უამბობდა შვილებს,  
როგორ იცავდა სარწმუნოებას ჰანა მისი, ის საძინელ  
დროში სცხოვრობდა, როცა იმათ, როგორც გარეულ  
მხეცებს ისე სდევნიდენ, ამწუვდევდენ სახეობილეში  
და სიკვდილით სჯიდენ. დედას ლურჯი თვალებიდან  
ნაპერწკლები ცვივოდა, როცა შვილებს სარწმუნოების-  
თვის უსამართლო დევნასე უამბობდა. თითონ სუსტი  
ქალი იყო, მაგრამ ეტეობოდა თავს არ დანოკავდა  
სამართლის დაცვისთვის. სპეტაკი გულის ჰატრონი იყო  
და როგორც მზის შუქი მისი თვალებიდან ისე გამო-  
სჭვივოდა სიუვარული.

დედას დააწვა ძმივე ტვირთი. ნედ ლივინგსტონი-  
ჩაის ვაჭრობით ცოტას მოულობდა, შინ კი სუთი  
ჰატარა ბავში უნდა გამოეკვებნა.

დავითი დაიბადა ცხრაშეტ მარტს, ათას ოჯახს  
ცამეტ წელს. სწორეთ იმ დროს, როცა თოვლი დნე-  
ბოდა მინდორ-ველსე და სასტიკი სამთრის შემდეგ  
ჰაერში გასაფხულის სუნი ტრიალებდა. ის ჯან-  
მრთელი, მაგარი აკებულობის ბავში იყო და ეველა-  
ფერს ადვილათ იტანდა, როგორც მისი წინაპარნი.  
დედისგან ამას დაჰქვა ცისფერი დიდრონი თვალები  
და სათნოებით სავსე მოსიუვარულე გული. სახლში  
ბევრი საქმე იყო, ემაწვილებისთვისაც კი. როგორც  
დავითი მოიხარდა, ისე რომ სკოლაში სიარული  
შეეძლო, დედას მხარში ამოუდგა, შინაურ საქმეებშიაც  
შეელოდა, სახლში დიდი სისუფთავე იყო და დავი-  
თიც შეეჩინა წეს-რიგს. როცა დედა სახლს დაბკვე-



ვინებდა, ეველა დარწმუნებული იყო, რომ მტვრის ნატყობი არ დარჩებოდა. ნედ ლიუინგსტონი შვილებს მკაცრათ ეკიდებოდა, მისი სიტუვა ეველასთვის კანონი იყო, მისი ბრძანება ეველას სმის ამოუღებელი უნდა აესრულებინა, უკიდურეს შემთხვევაში ურჩს არ ანატყვებდა წინააღმდეგობას.

სხვათა შორის სახლში წესათ ჰქონდათ შემოდებული, რომ დაღამდებოდა თუ არა კარი უნდა დაკეტულიყო მთელი ღამით, და ამ დროს ემაწვილები ეველა შინ უნდა ეოფილიევენ.

ერთხელ საღამოთი დავითი გაერთო ამხანაგებთან თამაშობაში და მისი ჩასვლა ვერ შეამჩნია, როცა მოიბრინა შინ კარები ჩვეულებისამებრ დაკეტული დაუსვდა. ემაწვილი მორცხვით კარებთან აიტუსა, ფიქრათაც არ მოუვიდა, რომ კარები დაერახუნებინა, რადგან მამის კანონს უნდა დამორჩილებოდა. ერთმა კეთილმა მესობელმა შეამჩნია, რომ მშიერი ბავში კარებზე ატყუული და ჰურის ნატყობი მიაწოდა. დავითმა ჰური შესჭამა და ის იყო უნდა დასადინებლათ მოეკალათნა.

კარგა ხნის შემდეგ დედამ შეამჩნია, რომ ბავში შინ არ იყო და კარეთ გაიხედა, მამამ მკაცრათ ჩაიციინა და ცოლს უთხრა:

— შემოუში ემაწვილი.

როცა დავითი ათი წლის შესრულდა, დრო იყო რომ ოჯახისთვის თავისი ნაშრომი მიეწოდებინა, ის გამოიუვანეს სკოლიდან და დააევენეს ბამბის საქსოვქარხანაში, ემაწვილი ისე ირჯებოდა, როგორც ნამდვილი მუშა.




ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ეოველ დილის სუთ საათსე ისაუსმებდა, შეინ-  
ნეკდა ზალტოს დილებს, დაისურავდა ქედს და ჯერ-  
სულ ბნელაში გასწევდა ქარსანაში. მუშაობა ექვს  
საათსე იწეებოდა. ის იდგა დასკებთან და როცა  
ძაფი გაწეებოდა უნდა გადაეხა.

მუშაობა ძალიან მოსაბესრებელი იყო ქარსანაში,  
თოთხმეტი საათი გრძელდებოდა, ზირველათ და-  
ვითისთვის ძნელი იყო, მაგრამ როცა შაბათს  
ნამუშევარი ფული მიიღო, მის სინარულს სასდვარი  
არ ჰქონდა. იმას ღრევე გათვალისწინებული ჰქონდა,  
თუ როგორ მოიხმარდა ამ ფულს, მაშინვე ჩაიდო სელ-  
ში და გაექანა დუქნისკენ, სადაც ეგულებოდა გასა-  
ყიდი ლათინური გრამატიკა. იმას საშინლად უნდოდა  
მისი უიღვა და არც აგრეთი ძვირი გამოდგა, წიგნი  
იღლიაში ამოიღო, სირბილით გაექანა სახლისკენ და  
დანარჩენი ფული დედას კალთაში ჩაუყარა.

ეს დღე დავითისთვის უბედნიერესი დღე იყო.

ამ ძველმა ლათინურმა გრამატიკამ მისი უელფე-  
რო ცხოვრება გაამშვენა, გაახალისა, ის დასდებდა  
სოლმე წიგნს დასკასე და თუძცა შრომაში გართული  
იყო, გრამატიკას მანც არ ივიწეებდა და ცოტ-ცო-  
ტობით რაც საჭირო იყო ეველფერი დაიხეწირა.  
თოთხმეტი საათის მუშაობის შემდეგ, შინ დაბრუნე-  
ბის დროს დასვენება უნდა განარებოდა, მაგრამ და-  
ვითი ხალისით მაშინვე გაემურებოდა საღამოს კურ-  
სებზე და როდესაც იქიდანაც დაბრუნდებოდა ღამის ათ  
საათამდის უჯდა წიგნებს, სანამ დედა არ გაუქრობ-  
და სანთელს.





ლივინგსტონის შვილებს ეველას უეუარდა წიგნი და მამაც ხელს უძართავდა, ახალისებდა. ნედ ლივინგსტონი წიგნებს აგროვებდა, რომელსაც ხელში ჩაიგდებდა. უმეტესათ უეუარდა მოკსაურობის და მისიონერების ცხოვრების აღწერა. დავითი მამას სშირად მიჰქავდა მისიონერების კრებებზე, მართალია დავითი გულმოდგინეთ მუშაობდა ქარსანაში, სალამ-სალამობითაც ხალისით სწავლობდა კურსებზე, მაგრამ დღესასწაულზე დროს გატარებაც ძალიან ესალისებოდა: დამკრებოდა კლდეებზე, ღრეებზე, ვადადიოდა მდინარეებზე, უეუარდა ჭაობებში ხეტიალი, იცნობდა კარვას მცენარეებს, ფრინველებს, ბუსანკალებს, ზეპელებს.

იმისავით არავის არ შეეძლო იშუიათი მცენარეების მოგროვება. ტუეში და მინდორში ეველაურის შესწავლა. იმას არაფერი არ გამოეწარებოდა. დავითი ეველას ძლიერ უეუარდა—დებსაც, ძმებსაც. როცა ის სახლში შემოვიდოდა—ატუდებოდა სასოკადო მხიარულება, რადგან ისე მშვენიერათ უეუებოდა სხვა და სხვა ამბებს, ისე გატაცებულათ ეთამაშებოდა ემსწვილებს.

ვარდა ქარსანაში მუშაობისა და კურსებზე სიარულინა, მას ჰქონდა კიდევ ერთი წმიდათა წმიდა მისანი—უნდოდა გამსდარიუო ნამდვილი სიძაროლის მოუვარე, ზირ უთუნელი კაცი, როგორც სიტუკით, ისე საქმით. იმას ადრე ჰქონდა ჩანერგული ღვთის შიში, მაგრამ რამდენიც იზრდებოდა ეს შიში ღვთისადმი სიუვარულის გრძნობათ იქცეოდა, რამდენსაც მეტს ფიქრობდა ქრისტეს ცხოვრებაზე, იმდენათ უფრო სიუვარულს და აღტაცებას გრძნობდა მისდამი და მისწრაფოდა მისავით ხალხისთვის სამსახური გაეწია.

ის აზრი, რომ მიეშველოს უძლურთ და უძწვით დაჩენილებს და სული გაუწვდინოს გაჭირებულთ— დაიღვა თავის მისწრაფების საგნათ და ეს გრძნობა თანდათანობით იღვიძებდა ემაწვილის კეთილ გულში— უნდა გაეკურნა გაჭირებულნი სულით და სორცით, და შეეტანა ნათელი სიბნელეში.

ეს იყო დავითის შეურევეელი აღთქმა და მისწრაფება და ამიტომ ეოველ დღე ცოტ-ცოტაობით, დასკვებზე ქსოვის დროს, დაწვეტილი ძაფების გადაბმისას ის კეკმას ადგენდა, როგორ ემსახურნა ქრისტე-ღმერთისთვის.

შორს, შორს არის ისეთი ქვეყნები, სადაც ქრისტეს სწავლის ნათელი არ მიჰკარებია. იქ უძწვო მოზრდილნი და ემაწვილნი ხელს იწვდიდენ, დასმარებას ითხოვდენ და ელოდენ განკურნას და ტანჯვის შემსუბუქებას. ქარხნის საწყალი მუშა—ემაწვილი—ოცნებობდა ამ დიდებულ საქმესე, ცდილობდა ქრისტეს გზას დასდგომოდა და გადასწვეიტა ეოველი დაბრკოლება გადაეღობა, ეველა ღონის ძიება ესმარა და თუნდ შედგეი ამ ცდისა უმნიშვნელო ეოფილიეო, თავის მისწინსთვის მიესწია. იქ თავის ზატარა, უმნიშვნელო სოფელში, სადაც ეოველი დაბრკოლება ისე ხშირია, იმან შედგრაღ დაისახა სიკეთის დათესვა და აქ უნდა ვთქვათ, რომდავით ლივინგსტონს არც ერთ-სელ არ უღალატნია თავის ამორჩეული გზისთვის.





### ანდამბი.

(წარმოდგენილი ჩიუთლა-გერმოგენ-კამკამ-კან ჭეულა კარული)  
კაცი კაცითაო, ღობე ქაცვითაო.

ცადა ქვეყანა იქცეოდა, ქლიბაძე ცეკვას უვებოდაო.

კიდევ ვნახავ ივანესო კარზე ჩამომჩივანესო.

აღმართი და დაღმართი, არც ერთი არ არის წაღმართი.

### ბამოცანები.

(მისიგანვე წარმოდგენილი)

ხან გაშლილი, ხან დებული, ხან სამეზავროთ წაღებული.

ბოსტანში კვახია, დედა მიწა გაზია.

(წარმოდგენილი მიხეილ გერმანაშვილისა)

ერთი რამ ტურფათ ნაზარდი, ფეხებს დაისვრის სისხლითა,  
არცა სჭამს მარილიანსა, არც დაითვრება ღვინითა,  
ვინც წიგნი იცის მიხვდება ქან—ონ, რაე დი ინითა.

ჩპარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი ჩიფოლა გერმოგენასკან)

მელასა ხარი დაება დაესახნის ტაბიკ აპეურებია,  
რაგარც დაესახნის ტაბიკ აპეურებია, ისევე ამეესახნის ტა-  
ბიკ აპეურებია.

ს ა ხ უ მ ა რ ო

(მისგანვე წარმოდგენილი)

გურულ კაცს ყანაში ცოლმა სადილი მიუტანა: მშვე-  
ნიერი ცხელი ქადები, ლამაზათ შეკაზმული ამოლესილი ლო-  
ბიო, გურულმა ლობიო ჯამით მიწაზე დადგა და მადიანათ  
შეექცეოდა. ამ დროს, სად იყო და სად არა, ხვლიკმა გად-  
მოიხვლიკინა და გურულს შიგ ლობიან ჯამში ჩაუსრიალდა.  
გულ გაბრაზებულმა გურულმა კუდში ხელი სტაცა და უთხრა:  
„ძამიავ, შენი არა მინდა რა და ჩემსას კიდევ ვერ გაგატან“.  
ასე უთხრა და ფიცხლათ პირში გამოივლო და ლობიიდან  
სულ გაწმინდა ხვლიკი, ლობიის ნასახიც აღარ დაუტოვებია  
მისთვის ტანზე. რაკი რომ ხვლიკმა თავი იშონა ისე მოჰკურ-  
ცხლა სოროსაკენ, რომ უკანაც აღარ მოუხედნია. შეძგრა სო-  
როში, სული მოიბრუნა და ასე თქვა: „ახია ჩემს თავზე,  
ცხონებული ბიძა ჩემი მარიგებდა: „გურული კაცი ფიცხია,  
თავს მოუფრთხილდი ბიძია“. და მე კი გურულს სრულიათ  
შეუფერებელი ხუმრობა გაუმართეო. მადლობა ღმერთს, რომ  
ცოცხალი გადაურჩი. აწი ქე ვისწავლი ქკუას და გურულს  
ვაგლახათ სახათაბალო ხუმრობას აღარ გაუმართავო.

რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი ბაგრატი ბუაჩხელისკან)



ბ შარველი ქა-  
ლის სასედი?



ღბ კავშირი

ბ შატრა დამიტრის  
რას ეძახიან?



სენი ანუ?

## შ ა რ ა დ ა

(წარმ. ვ. ჭ. ჭაჭინაძისკან)

ძველ დროში არა ყოფილა,  
 დღეს თეთრი შავათ მზადდება,  
 აზრისა გადასაცემთ  
 ჩვენ ხშირათ გამოგვადგება.  
 შორე მანძილზე ვაგზავნით,  
 თუმცა არ არი ძვირია  
 და ბოლო ასო მოვაკლოთ  
 ანს დავსვამთ, იგი გვჭირია.  
 აქაც ვახსენებთ ერთ სიტყვას  
 არ ახალია ძველია,  
 რამდენათ შატრა არი,  
 მით უფრო საყვარელია.  
 ვისაც არა ჰყავს ბედს სწყევლის  
 რისთვის მიწყრება ღმერთიო,  
 სიბერის დროის იმედი  
 ღმერთო, მიბოძე ერთიო.  
 სულ ყველა ერთათ მგოსანის  
 მხოლოთ შატრაკა გვარია,  
 რუსთაველის შემდეგ პირველი

ორმოც წლის წინეთ მკვდარია  
მოკვდა ძვირფასი მგოსანი,  
მოსცილდა მზეს და მთვარესა,  
ლუკმა პურისა ძებნაში  
დავლუბეთ უცხო მხარესა.  
პოეტის დაკარგვისათვის  
გემართებს ქართველებს გლოვა,  
ისე დავკარგეთ მგოსანი,  
სურათიც ვერ დავგიტოვა.



გამოცანა: შველი.

აკროსტიხი: ძუძუ.

რებუხი: მაშო კატოს უყვირის.

## სურათზე დაწერილი აზგები

### I

პატარა თამრიკელა.

პატარა თამრიკელას ჰყავდა ჯუჯა. ერთხელ თამრიკელა სვამდა რძეს. მერე წამოხტა, გაიქცა, აიყვანა თავისი ჯუჯა, მივიდა მაგიდასთან, მოიწია რძის ქვაბი და ჯუჯა შიგ ჩასვა და ბანაობა დაუწყო. ჯუჯას ფერადები სულ გაეცალა და უშნო შეიქნა. მერე თამრიკელამ თითონვე სიცილი დაიწყო.

შეჰოვიდა დედა და, დაინახა რომ თამრიკელა თავის ჯუჯას რძეში აბანავებდა, ძალიან გაუჯავრდა თამრიკელას რომ ამდენი რძე გააფუჭა.

ციალა გაბაშვილი (7 წლისა).

### II

დაგბან ჩემო დედოფალა.

პატარა ნუნუს დედამ მის დედობაზე დედოფალა მიულოცა.

ნუნუს ძლიერ გაეხარდა დედისგან მშვენიერი საჩუქარი. პირველათ უფრთხილდებოდა, ხანდისხან ეთამაშებოდა, ბოლოს მოიხალისა, ხშირათ დედოფალას კარების უკანაც მია-



გდებდა, უმეტესათ ის მაგიდის ქვეშ ატარებდა დროს ციკუნიასთან, რომელსაც ძლიერ უყვარდა დედოფალას წო-  
წოლა ქუდზე თამაში.

ერთხელ ნუნუმ თავისი დედოფალა სამზარეულოში შე-  
ათრია და თითონ ეზოში გაეარდა სათამაშოთ.

თამაში რომ მოეწყინა შინ შემოირბინა. გაახსენდა სამ-  
ზარეულოში ობლათ დარჩენილი დედოფალა, ხელში აიღო  
და სასადილო ოთახში ასკინკლით შეირბინა.

ნუნუს დედა შუადღისას ყვავს ამზადებდა, დაინახა ნუნუ  
თავის დედოფალით, რომელსაც თმით მიათრევდა და უთხრა:

— ნუნუ, არა გრცხვენია აგრე ბინძურათ რომ ატარებ  
შენს ბიჭუკელას? დახედე, სამზარეულოში ხომ არ ვდებულა,  
ნახშირით რომ არის გასვრილი?

ნუნუმ მხოლოთ მაშინ შემაჩნია შავი მური დედოფალას  
ფეხებზე, მაგრამ არაფრათ წყენია, მხოლოთ როცა დედამ  
საუზმეთ ჯამით რძე მიაწოდა, ნუნუმ მოჰკიდა ხელი დედოფა-  
ლას, ჩააყუდა რძეში დასაბანათ და თან ელაპარაკებოდა.

— აჰა, ნახე ჩემო ბიჭიკო, როგორ გაგათეთრო.

დიდ ხანს ბანა რძეში, ბოლოს ამოიყვანა გასამშრალე-  
ლათ, მაგრამ დედოფალას აღარც ერთი ფეხი აღარ ამოჰყო-  
ლია. რძეში დამბალიყო და დამშლილიყო ნუნუს ბიჭიკო.

— აი შე საძაგელო, ხომ დაკოქლდი: რილათი გაივლი, მე  
აღარსად აღარ წაგიყვან, თავი მომაბეზრე. შენით სიარულიც  
აღარ შეგიძლიან.

ამ სიტყვებით ნუნუმ უფეხო დედოფალა მაგიდის ქვეშ  
შეისროლა.

ჭიათურის საქალებო სკოლის უმცროსი განუფილების მოწაფე  
ალექსანდრა ბარათაშვილი.\*)

\*) დახირებუდი თამარის სურათი ამ ორს გაკატხანათ.

# ბ ა რ ი შ რ ა შ ი.



დადნა მთვარე ცის ლურჯ მკერდზე,  
 მიიბნია, მიიძინა,  
 დილის სიომ არე-მარეს ფოთოლთ  
 რხევით შესისინა,  
 აპრიალდა მზის სხივებზე წყარო, ჩან-  
 ჩქერთ ლურჯი მინა,  
 შეიშმუშნა მთა და ბარი—აღმო-  
 სავლეთს გაეცინა.  
 მთის ფერდიდან თეთრი ნისლი სად-  
 ლაც დაღმა მიეთრევა,  
 ღელავს ფოთოლთ ზურმუხტი ზღვა,  
 ყვავილებმაც იწყეს რხევა,  
 ნამი ხიდან ძირს მოფრინავს, დაპა-  
 ლუპით ძირს იფრქვევა,  
 მდინარენიც გამოცოცხლდენ, მკვირ-  
 ცხლათ უწყეს ტალღებს მტვრევა.  
 ვიშ, ფხიზელი დილის სუნთქვა მეც  
 მაფხიზლებს, მამსუბუქებს,  
 სიხარული სევდისაგან ჩაბნელებულ  
 გულს მიშუქებს,  
 უარყოფილ მკრთალ სიცოცხლეს კვლავ მაყვარებს, კვ-  
 ლავ მახარებს,  
 და ვშლი შუბლზე ხშირ ნაოქებს და ვხსნი ერთად შეკ-  
 რულ წარბებს.  
 გამოვდივარ, დილის ფეთქას ვესალმები, ვეგებები,  
 ისე, როგორც თოვლის ფერ გედს გამსქვირვალე ლურჯი  
 ტბები.  
 ვმღერი, ვმღერი ახალ ჰანგებს—ჰანგი ჰანგს სცვლის,  
 და ხმებს—ხმები,  
 ვერ ვსძლევ გულის ტკბილათ ძგერას—ვიცინი და ვი-  
 ცრემლები

## ცოცხალი სათამაშო.



რილი სასიამოვნო დღეები იდგა ჩვენ აგარაკ-  
 ში. რამდენიმე სახლობა სხვებისაგან მოშო-  
 რებით დაბინავებულნი ვიყავით. წყველაფ-  
 რის სიძვირეს ხმა ამოუღებლივ ვიტანდით,  
 ერთად ერთი ჩვენი გასართობი მატარებ-  
 ლის მისვლა-მოსვლა იყავით. რკინის გზის სად-  
 გური ანდამატივით გვიზიდავდა. საღამოო-  
 ბით გამოვეფინებოდით და გულის ფანტკა-  
 ლით ველოდით წერილებს...

ერთხელ ჩვენ შორის გაისმა ხმა—ომიდან  
 დროებით მოდის ექიმი ვანო.

საერთო სიხარულმა აგვიტანა, რამდენ ამ-  
 ბებს მოგვიტანსო ვფიქრობდით და ამიტომ მოუთმენლათ მოვე-  
 ლოდით.

ექიმს ხანგრძლივი მოგზაურობისაგან მოღლილობა ეტ-  
 ყობოდა. დასვენა თუ არა ერთ კვირა დილას გამოვიდა ჩვენ-  
 თან ერთად მახლობელ ტყეში. ჩვენ დაესხედით ხშირ ნაძვებს  
 შორის, ფიჭვნარის სუნიით დაბნედილნი მწვანე მოლზე და  
 მოკრძალებით ველოდით დაპირებულ ამბებს.

ექიმმა ასე დაიწყო:

ჩვენ ექიმები, ფელშრები, სანიტარები ე. ი. ავთამყო-  
 ფების მომვლელნი ომის დროს ჯარს ფებ და ფებ მივდევთ.  
 რაში მიდის წინ, ეომება მტრებს, იპყრობს სხვა და სხვა  
 ადგილებს, იბრძვის სიმაგრეების ასაღებათ, აოხრებს სოფლებს.  
 მათ მივდევთ ჩვენ, დაპყრობილ ადგილებში მკვდრებს ვკრე-  
 ფავთ, ცოცხლებს ვარჩენო. დაჭრილ-დაკოდილებს უხვევთ  
 იარებს, წამალს ვადებთ—ეს არის ჩვენი მოვალეობა.

ერთხელ ბასკანის ახლოს, ოსმალებთან დიდი შეტაკე-  
 ბის დროს, ერთ ყიზილბაშების სოფელში მე ჩემი სანიტარე-  
 ბით მივედი: აქ ბევრი საქმე მოგველოდა, აუარებელი მკვდ-  
 რებიც და დაჭრილებიც, როგორც ჩვენები ისე ყიზილბა-

შებრც, დაგვიხვდენ. მე მაშინვე გადავიცვი თეთრი ხალათი და ჩემი ფელშრებით, სანიტარებით გავსწიე მისაშველებლათ. თოვ-და. ცოტა ყინვაც იყო, მთვარე მკრთალათ ანათებდა... ათიო-დე ნაბიჯი ჯერ არ გამეველო, რომ ჩემთან მოირბინა ერთმა ჯარის კაცმა და აღელვებით მითხრა: წუხანდელს აქეთია ვერ მოვაშორეთ მკვდარ დედას—ყმაწვილი. თუ არ უშველით, ექიმო, ყმაწვილი უსათუოდ გაიყინება.

მე აუჩქარე ფეხი. მივედი ნაჩვენებ ადგილს. ერთი შუა ხნის კარგა ჩაცმული დედაკაცი ევდო დედამიწაზე. მარცხენა გვერდიდან მოუჩანდა დიდი იარა. მარჯვენა მხარეზე კი ჩახუ-ტებოდა ხუჭუტა თმისანი პატარა გოგონა. ასე რვა წლისა იქ-ნებოდა. თითქოს ლამობდა დედის გავლიძებას, სულ გაღურ-ჯებული იყო, თრთოდა, კანკალებდა. თვალები მიბნებოდა. შემომხედა თუ არა შემომხინათა თავისი დიდრონი შავი თვა-ლები და დაკვირვებით შემომხედა.

— ექიმო, იკბინება. ახლოს არავის გვიშვებსო, — დაუმა-ტა ჯარის კაცმა.

მე უნდა სხვანაირად მომეველო საქმისთვის, მაშინვე მიუახლოვდი მკვდარს, ჯერ ვითომ იარა შეუხვებე. მერე მო-ვატანინე საკაცე, ყმაწვილს მიუალერსე, დავალევინე კონიაკი რძით. მას ეგონა რომ დედა მოსარჩენათ მიჰყავთ და მო-შორდა. მომეხვია მე კისერზე და ისე წამოვიყვანე ჩემ ბინაზე. შეთბა თუ არა ყმაწვილი, ძილი მოერია და მეორე დღემდის აღარაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევია. იმ ღამეს ჩვენთან გარდაიცვალა ერთი მძიმეთ დაქრილი ყიზილბაში, რომელიც ყველას აბარებდა—ჩემ ნათესავ გოგონას ზაირას ყური უგ-დეთო. ამითი შევიტყუეთ რომ ყმაწვილს ზაირა ერქვა.

მეორე დღეს ზაირა მე აღარ მომშორებია, სულ თვა-ლებში მიყურებდა და თითქოს დაქრილებთა შორის დაეძებდა თავის დედას, მე ათასნაირათ ვფიქრობდი ზაირას ბედ-იღბ-ლის მოწყობას, რომ უეცრათ გამომესახა ერთი უნტერ-აფი-ცერი ბრძოლის ველიდან წერილით მოსული. კაპიტანი გუ-ბოვი იწერებოდა რომ ევ პატარა თმა-ხუჭუტა ყიზილბაშის გოგო რომ წამოვიყვანიათ უნდა მე დამითმითო, მწადია ჩემ საცულეს თბილისში საჩუქრათ გაუფუგზავნოვო, თანაც ყიზილ-ბაშის ყმაწვილის ძვირფასი ტანისამოსი გამოეტანებია.



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

რას გავაწყობდი! ეს ბრძანება მივიღე: მოვროთე ზაირა და ჩავებარე უნტერ-აფიცერს. ყმაწვილს გაეხარდა ტანისამოსი და რადგან დედა ვერა ნახა ავადმყოფებთან შორის, ეგონა რომ იმასთან სხვაგან მივეყვარო და აღვიღათ გაჰყვა ამ უცნობ კაცს.

-- მერე ექიმო, მერე! ზაირასი აღარა იცით რა?

— რატომაც. ხუთი-ექვსი თვის შემდეგ სამსახურის გამო მომიხდა თბილისში წასვლა. კაპიტან გუბოვმა დიდათ მთხოვა შევსულიყავ მის საცოლესთან და გადამეკა ძვირფასი საჩუქრები, რომელსაც საქორწილოთ უგზავნიდა.

მართლაც მივედი თუ არა თბილისში მოგნახე მათი ბინა და ვინახულე როგორც სასიღვდრო, ისე საპატარძლოც. ყმაწვილი ქალი სულ კაბებზე და მორთულობაზე ჭიკჭიკებდა, ფიქრათაც არ მოსდიოდა რომ ერთ ყუმბარას შეეძლო მისი გუბოვი ფერფლათ ექცია. სასიღვდრო პატარა, მოძრავი დედა-კაცი იყო. ქალიშვილს დედასავით ბევრი ლაპარაკი უყარდა. ჩემ გამოკითხვაზე თუ ზაირა რა იქნა, შეიძლება თუ არა რომ მიჩვენონ. პატარა დედაკაცმა დაიწყო ჩივილი: გოგო ვერ მოვარჯულეთ, რუსული ვერა გზით ვერ შევასწავლეთ, ჩემი ქალის სარაფანი ვაჩუქე, მაგრამ ზედ შემოიფხრიწა. სტუმრებს ხომ მოკვებსენებათ ძალიან უნდათ ყიზნლბაშის გოგოს ნახვა ახლოს, მაგრამ ის არ ეკარებოდა, სულ ბუზღუნებდა, ეტყობოდა თავიანთებურათ გვლანძღავდა კიდევ. გვინდოდა ეცაკვა, ეთამაშა, რომ დრო გაგვეტარებინა, ის კი მიიმალებოდა კუთხეში და ტიროდა. ისე გავვიჭირა საქმე, რომ ჩემმა ქალმა ერთ ჩვენ კაი წაღობ, აფიცრის ცოლს აჩუქა.

აფიცრის ცოლის მისამართი ვიკითხე და საჩქაროთ გამოვეთხოვე ამათ. საღამო ხანი იყო რომ უეცრათ მივაღექი ზაირას ბინას. პირდაპირ სამხარეულოში შევედი. სამი ახალგაზრდა და დენშჩიკი ტრიალებდნენ ოთახში. ერთი უკრავდა გარმონს და ორნი ცეკვამდნენ. კუთხეში ვიღაც ყმაწვილს, სახეზე ხელი მიეფარებინა და ბზუკუნებდა.

— ზაირა! შევძახე მე.

საღდათებმა მაშინვე შესწყვიტეს თავიანთი ცეკვა-მუსიკა. გოგო უცბათ წამოვარდა ზეზედ. შავი ხუჭუჭი თმები ადრინდელივით გაწეწილი ჰქონდა. დიდრონი ძვალები

შემომაჟყიტა და ერთს წამს კისერზე ჩამომეკიდა. ტანისაშენი  
ეტყობოდა განგებ დაეგლიჯა. გულამოსკენით რაღასაც ყი-  
ზილბაშურათ მიამბობდა. მერე რუსულათ გამომელაპარაკა:—  
Возьми, возьми меня, нехочу здѣсь.

მე თავზე ხელს უსვამდი, ვეალერსებოდი, ვამშვიდებდი.  
დენშჩიკები მაშინვე მოგვშორდნენ, უსათუოდ თავიანთ  
ქალბატონს შეატყობინეს ჩემი მოსვლა, რადგან სამზარეულო-  
ში ვილაც ქალი შემოვიდა, რომ დამინახა ექიმის ტანისამოს-  
ში ზრდილობიანათ მკითხა:—თქვენ ალბათ ჩემთან საქმე გექ-  
ნებათ—ბრძოლის ველიდან ხომ არ მობრძანებულხართ. მე  
იქ ნაცნობები ბევრნი მყვანან.

მე გამოუტყუდი, რომ ზაირას ნახვა მინდოდა, რადგან  
ვიცოდი, რომ თქვენთვის უჩუქებია კაპიტან გუბოვის საცო-  
ლეს- ეს ბავში სიკვდილს მე გადავარჩინე და ძალიან მინ-  
დოდა ამისი ნახვა.

— საშინელი ჯიუტი, კერპი ყმაწვილია, მითხრა ქალმა,  
არ ვიცო მოვარჯულელებ თუ არა. რუსული ცოტათი იცის,  
მაგრამ განგებ არ ლაპარაკობს. ჩემ სტუმრებს არ ეჩვენება.  
ერთხელ დავბატოე სტუმრები, მინდოდა მეჩვენებინა, ჩვენში  
ხომ იშვიათია მაგისტანა გასართობი. „ტრეპაკა“ ვასწავლე  
კადეც, რომ იმათთან ეცეკვა—მაგრამ ვერა გზით ვერ დავა-  
ნახე, სულ იკბინებოდა. აიჩემა კატა და ძაღლი, სულ იმათ-  
თან არის, საქმელს ყველაფერს უზიდავს, ამ სიძვირეში გამა-  
ჩანაგა; ეხლა ერთი სომხის ოჯახი მყავს ნაცნობი, ისინი  
მთხოვენ—ეგ გოგო ჩვენ ვვაჩუქეო. ჩვენ ვიცი რომ გოგოც  
მოვარჯულელებთო. ძალიან ეფერებიან, იქნება ჩვენთან ჩამოუ-  
ვიდეს გულიო. ამ სიძვირეში მოსამსახურეთ გამოიყენებენ.  
მე არ მესაჭიროება, ორი ვაჟკაცი დენშჩიკი უსაქმოთ არიან.  
მე სულ აქეთ-იქით ნაცნობებში დავდივარ...

გამოვეთხოვე დიასახლის და ის იყო უნდა წამოვსული-  
ყავ რომ ზაირა მომეჭიდა და არ მიშვებდა, თან ცრემლით  
იღვრებოდა. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდი. ეს ცოცხალი  
ყმაწვილი სათამაშოთ გადაეჭკიათ და ერთი მეორეს უთავა-  
ზებდნენ. სხვა ვერა მოვახერხე რა ჯიბიდან ამოვიღე ფული  
და ჩემი მისამართი, ჩუმათ მივეცი. ის თითქოს რაღაცაზედაც  
დაფიქრდა, მიმიხვდა რომ ახლა ვერას უშველიდი, გადამეხვია,

ერთი ორჯელ მაკოცა და ნაღვლიანათ განზე გადგა, გულ-  
 დაწყვეტილი წამოვედი. ვიცოდი რომ ჩემ ოჯახშიაც ვერ  
 გასძლებდა. მხოლოთ თავისი მიწა-წყალი დაამშვიდებდა ყმა-  
 წვილს.

ექიმი დაჩუმდა.

— მერე, ექიმო, მერე... ჩქარა გვითხარი.

— ორი-სამი თვის შემდეგ ჩემი ძმა-კაცი მიდიოდა თბი-  
 ლისში და იმას ვთხოვე ენახა ზაირა, შეეტყო იმისი ყოფა-  
 ცხოვრება და როდესაც დაბრუნდა სანუგეშო ამბავი არც  
 იმან მომიტანა. ჩემ შემდეგ მალე სომხის ოჯახს წაყვანა  
 თავისთან ყმაწვილი, თურმე უზომოთ ამუშავებდნენ, ამ დროს  
 ზაირა დაუმეგობრდა ერთ მეზობლის თავის ტოლა ყმაწვილს,  
 შეესწავლა კოტაოდნათ სომხური და ბოლოს სადღაც გაქ-  
 ცეულიყო. ბევრს ეძებდნენ თურმე, მაგრამ ზაირას კვალი  
 ვერსად იპოვეს.

ამ ამბავმა ხელახლათ საგონებელში ჩამაგდო, იქნება  
 მომნახოს მეთქი.

გავიდა კიდევ ორი თვე. ჩვენებმა მომიტანეს ამბავი რომ  
 არდანუჯში ენახათ ზაირა.

ახლა აქ წამოსვლის წინეთ ყიზილბაშების სოფელში,  
 კარავეში ვიჯექვ, ამხანაგთან ჭანდრაქს ვთამაშობდი. უცრ.თ  
 შემოვიდა ჩემთან პირმოცინარი მოჩიტებული გოგო, ყიზილ-  
 ბაშურ ტანისამოსში გამოწყობილი, კულულებათ დაწყობილი  
 თმებით, თავი შეკრული ჰქონდა კობტათ წითელი აბრეშუპის  
 ხელსახოცით. შევხედე თუ არა შევძახე:

— Заира, эта ты?

მან შემომანათა თავისი შავი თვალები. სახე დაწყნარე-  
 ბული ჰქონდა. თვალები ნაღვლიანათ გამოიყურებოდნენ, ეტ-  
 ყობოდა ბევრი ვაი ვავლახი გადახდომოდა თავს. ის ახლა  
 კარგათ ლაპარაკობდა რუსულათაც, სომხურათაც.

— მე სახლში მივიდივარ, ზაირა, უთხარი რუსულათ.—  
 წამო ჩემ ცოლთან, შვილივით ეყოლები.

მან პასუხათ მომიგო:

„მე ჩემ ნათესავებს დავეძებ, იმათთან უნდა დავრჩე,  
 იმათთან სიცოცხლეც და სიკვდილიც მიჩრჩენია.“

ასე დაასრულა ექიმმა ზაირას ამბავი.



## ალექსი ზესარიონის ძე ჭიჭინაძე



ედევ ერთი იმათგანი გამოესალმა წუთი-სოფელს, რომელნიც შეადგენდნენ სახელს, დიდებას, მშვენიებას და ძალას ჩვენი ქვეყნისას, სამოც—სამოცდაათ წლებიდან დაწყებული დღემდე.

ერთი მისდევს მეორეს, მეორე მესამეს და ასე შეუჩერებლივ მიდიან, ვითარცა გაჩერება ამ ქვეყნათ არავის არ ძალუძს. ქართველი ახალთაობაც მადლობით და გულმტკივნელობით ისტუმრებს თავიანთ მოამაგეთ და ფიცსდებს იმათ სამარესთან, რომ მათ გზას არა თუ არ გადუხვევენ, აასრულებენ იმასაც, რაც ამ მამათ-მთავართ ჰქონდათ მხოლოდ ფიქრათ, ოცნებათ მიაჩნდათ და მხოლოდ შვილი-შვილთათვის ასასრულებლათ სტოვებდნენ.



ღიახ, აღექსა ჭიჭინაძეც ერთი იმათგანი იყო, რომელნიც თავიანთ დროს დაუღალავათ ემსახურებოდნენ და თავის სამსახურს უკანასკნელ ამოფშვენამდე სვინდისიერათ და თან გატაცებით დარაჯობდნენ.

მე მახსოვს აღექსი ყმაწვილი, მშვენიერი, ზრდილი, განათლებული, რომლის ცხოვრების გზა ვარდ-ყვავილებით უნდა ყოფილიყო დაფენილი და ამის სიციცხლე მხოლოდ და მხოლოდ სიხარულით და ბედნიერებით აღსავსე, მაგრამ იმან ისეთი ეკლიანი გზა აირჩია, რომ შვეებისა და მხიარულების მაგივრათ, მუდამ უნდა ეზიდნა მძიმე ტვირთად, გზა პედაგოგისა, რომელიც დაუღალავათ, დღე მუდამ, წლითი წლობამდე შეუჩერებელიც უნდა მუშაობდეს, ფიქრობდეს, მზრუნველობდეს, რომ თავისის შეუყენებელის განვითარებით მთელ თავის სანზრუნველოს სკოლას, აღზრდას სახელოვნათ წინ მიუძღოდეს და აღექსიც მუშაობდა თვით-განვითარებისთვის, მუშაობდა შეუყენებელიც და უდროვით გატყდა, მოეშვა, სუსტმა სხეულმა ვერ ზიდა უზომო სულიერი ჯაფა და ჯერ ქარმაგი კაცი, უეცრად წუთი სოფელს გამოესალმა.

მთელი ორმოცი წელიწადი იყო აღექსი თბილისში და ქუთაისში ახალთაობათა აღმზრდელათ და არა ერთი მოდგმა გაიხსენებს იმას, როგორც მამას, როგორც აღმზრდელს და საუკეთესო მეგობარს!

საიდან სად არ გაისმა ხმა იმის სიკვდილისა და საიდან სადამდე არ მოვიდა კენესა იმისი უთვალავ მოწაფეთა გულისტკივილისა და ხმა გოდებისა?

უკვდავია ის კაცი, რომელიც თავის შემდეგ ამ გვარ ხსოვნას სტოვებს და ბედნიერია ის ქვეყანაც, ვინც ამ გვარ ნათელ პიროვნებათა ზრდის და აწარმოებს მთელ თაობას.

ექ. გაბაშვილისა



## მ ო გ ო ნ ე ზ ა.



ელიწადის უმსუქნესი დრო იდგა, ყველა-  
 ფერს სასიამოვნო სახე მიეღო: ვაზებზე  
 დამკვრახული ყურძენი, ლოყა ბრიალა  
 ვაშლები, სინწიფისაგან დაბჭყალული ლე-  
 დები, გამსკდარ ნაქუქში მომცინარე კა-  
 კლები, ბაიას ყვითელი ყვავილებივით კინწ-  
 ლებზე ჩამოკიდებული გოდორა კომშები,  
 ჩემი კლდიან-ქვიშიანი შავი სოფელი და  
 ჩემ ირგვლივ მცხოვრებნი, ისე შემიყვარ-  
 დენ ამ ბოლო დროს, ისე მომწონდა,

რომ ყოველი უფარგისი და საზარელი საგნებც კი ჩემს  
 თვალში დაუფასებელი ხდებოდენ.

შემიყვარდა, ძლიერ შემიყვარდა ყველაფერი, რა ვიცო-  
 დი თუ ეს ძლიერი გრძნობა ჩემში მოტომ დაიბადა, რომ  
 უნდა მოვშორებოდი ყველაფერს, სულ რამდენიმე დღის  
 განმავლობაში, უნდა წავსულიყავი სასწავლებელში. დღემდის  
 შეუმჩნეველი მშობლების აღერსი დღეს, ისე იზრდებოდა,  
 ისე რომ გულში აღარ ეტეოდა და ხშირათ ჩუხჩუხა ცრემ-  
 ლების ნაკადულს ამოვატანდი და ხან კი გემრიელი ლუკმა-  
 სავით გადავყლაპავდი ხოლმე.

ნეტა რით შემიყვარდა ასე ძლიერ მშობლები? აქამდინ  
 ჩემთვის უმნიშვნელო იმათი ფეხის ხმა, ეჭლა სათაყვანებელი  
 გახდა.

— ასე აღრე ნუ დაიძინებ, ჩემო დედიკო, ვიბასოთ,  
 რამე ვთქვათ, ხშირათ გაუმეორებდი ხოლმე, როცა დედას  
 თვალებზე ლულს შევამჩნევდი. რომ დავწვებოდი ძილით  
 დიდხანს არ დაშეძინებოდა, ცეცხლის პირზე წამოაფიცებული  
 მწვადივით ვტრიალებდი, ვვობრავდი და ვწკმუტუნებდი. ჩემი  
 ტანჯვა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მკითხეს მშობლებმა:

— იქნებ წასვლა გეზარება და მიტომ იქცევი უცნაუ-  
 რათ? მერე რა გიჭირს. უცხოხას ხომ არ მოვიხდება ცხოვრე-



ბა, მართალია შენ არ იცნობ, მაგრამ ის ჩვენი ხელისუფლების საფუძვლიანი და როგორც გითხარით ჩვენებური უმარტოობები იმისას ცხოვრობენ, ერთი ორი დღე მოგეწყინება, მაგრამ დარწმუნებული ვართ ჩვენზე უკეთეს მოციქულის და გიპატრონებს,

მე გავეწითლდი, ყურებზე ალი ამდიოდა. თვალები ცრემლებით ამომევსო, ერთი წვეთი ზედ თვალის წამწამზე შეცურდა და ჩემი თავის მოსაქრელათ შიგ კალთაში ჩამივარდა. იმას მალე წავაფარე ხელი, რომ ჩვენებს არ შეემჩნიათ, მაგრამ იმის გაკაფულ გზაზე სხვებმაც მოართეს წინწყლა და გამოამელავენეს ჩემი დაფარული ბოლბები,

— იცი რას გეტყვი, უთხრა მამამ დედას, — ეს პატარა ვენახი მოკვრიფოთ ბავშვის წასვლამდის, თორემ სართლოთ ხომ ვეღარ ჩამოვა?

მე გამაფრიალა ტანში. ეხლა დავრწმუნდი, რომ დღესანს აღარ მემყოფებოდა ჩემს საყვარელ კერასთან. დედას აღარ ვშორდებოდი, მეგონა თუ ის მიდიოდა სადღაც, და მაგრათ კაბაში ხელ ჩაქიდებული ხან იქით გავყვებოდი და ხან აქეთ. კარგათ ვგრძნობდი იმას, რომ მალე უცხო ადგილას, უცხო ხალხში მომიხდებოდა ცხოვრება. გული თუმცა უარეს მექაღდა. მაგრამ ჩემი ოცნება მომავალ ცხოვრებას სამოთხის მსგავსათ მიხატავდა, თორემ ერთი ბეწვი სინამდვილისა რომ გულში გაჩენილიყო, უსიკვდილოთ არ მოვშორდებოდი ჩემს საყვარელ მშობლებს, მაგრამ რა ვიცოდი თუ „საცხონებლათ გამხადებული იერუსალიმში წავწყვდებოდი“. დავემორჩილე ჩემს მწარე ხვედრს. დილის პირველი საათი იყო, როცა მე და ჩემმა ბიძამ ხაბაკით ჩავიბრინეთ ნაცნობი ბილიკები და მატარებლის ვაგონთან საქციელ წამხდარივით ავიტუხე და ბილიეთს ველოდი უხალისოთ, როცა იქნა, მესამე ზარიც შემოჰკრეს და იმ წყეულმა მატარებელმაც შეჰკავლა. ჯერ ზარმატულათ გააზმორა, ნელა, ნელა დაინძრა და სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი სისწრაფით გაექანა, რომ ვერც კი მოვასწარი თვალი მომეკრა დედიჩემის ლანდისთავის, რომელიც სარ გადაყლაპულივით იდგა ერთ ადგილას და მატარებლის ჩავლას უცდიდა.

მოვშორდი თუ არა ჩემს ნაცნობ მიწა-წყალს, მინდორველს, ყველას და ყველაფერს, მწუხარებამ ისე მომიცვა, ისე

დამამუნჯა, რომ კბილი-კბილზე დაჭირებული გაუნძრევლათ ვიჯექი მატარებელში.

როცა მიუახლოვდით ქალაქს, გულმა ჩქარი ცემა დამიწყო, თვალწინ წარმომიდგა ჩემი მომავალი. ეტლეს დაუძახა ბიძა ჩემმა, ჩავსხედით და გავსწიეთ ჩემ მომავალ ბინისაკენ. შევატყობინეთ ჩვენი მისვლა. ჩვენს დანახვაზე შავმა ღრუბელმა გადაურბინა სახეზე, ისეთი დიდი ცხვირი გვიჩვენა, რომ ცხონებული ბაბუაჩემის ყალიონის ტარს ორი ადლით აღემატებოდა. მაგრამ როცა ბიძა ჩემმა აუხსნა ბავშვის დაყევება მინდა თქვენთანო. ნდომის მადა გაეღვიძა, სტუმრების დანახვაზე მოდუნებული ძარღვები დაეჭიმა და ახალგაზრდა ქალიშვილივით დაიწყო წკიბინით სიარული, ვახშამი მოგვართვა და ვახშამზე გამოაცხადა სურვილი ჩემი იმასთან ცხოვრებისა. მისმა სახემ, ვითომ მზრუნველობით სავსემ, თვალეზში გამომახედვინა. თავისუფლათ მივიხედ-მოვიხედე და იქვე მოშორებით მდგომთ თერთმეტ-თორმეტი წლის ქალებს გამოველაპარაკე, რადგან დედასაგან მყავდა შორიდან გაცნობილი, ჩვენებური ყმაწვილებიც იმასთან ცხოვრობენო. აი სწორეთ ამ ყმაწვილებს გაუცინე ბავშურათ და მაგიდის ყურზე მიუთითე ჩვენსკენ მოეწიათ და ევახშამათ. ყმაწვილებმა ტუჩზე ხელი მიიფარეს, მერე აიღეს და გაიქნიეს. მე მიუხვდი იმ ნიშნებს, ვითომ გაჩუმიდო. მეც არაფერი მეთქმოდა, დავდუმდი, თუმცა ძლიერ მინდოდა გაგება, რატომ გამაფრთხილეს. ჩვენმა მომავალმა დიასახლისმა ჩვენს მუნჯურ საუბარს თვალი მოჰკრა, გამოაკეთა და მითხრა.

— არა გენაცვალე, მაგათ აგერ ახლა ივახშმეს, თქვენ მიირთვიეთ.

იმ ღამეს ახალი შთაბეჭდილებით სავსეს სულ არ დამძანებია, მეორე დღეს ჩემი ახლათ გაცნობილი ყმაწვილებით სასწავლებელში წავედი. ორ საათზე ისევ ბინაზე მოვედით და სადილს შევექცეთ. ჩემს მომავალ ამხანაგებს სიხარულის ნაპერწკლები სცვივოდათ თვალეზზე, რადგან კარგა ხანი იყო, ასეთი გემრიელი სადილი არ ექამათ და ეტყობოდათ მშვიერი ბელურებივით საკმლის დანახვაზე ჟღერტული დაიწყეს. მე სიმართლე გითხრათ პირველი დღით კმაყოფილი დავრჩი და ექვიც არ შემპარვია, თუ ჩვენი დიასახლისი ხასიათს შეიცვ-

ლიდა და ნწუთხე ხმელი ტარანით გულს დაგვიწვავდა. ამან ქირი მოგქამოსთ, რომ ლანძღვა-თათხვისთვის არ მიეყო ხელი. ხან ერთს ამოგვიჩემებდა, ხან მეორეს და სულ უიარალოთ გვიღებდა ორთხში, ჩვენ შეურაცხყოფილება არა ერთხელ და ორჯერ განვიძრახეთ შეთქმულობა ჩვენი ბატონის წინააღმდეგ, მაგრამ უღონონი ვიყავით, ვერას ვახერხებდით. წერილებს ხშირათ ვაგზავნიდით შინ, ჩვენს გაქირვებას დაწვრილებით ვწერდით, მაგრამ როგორც ეტყობოდათ ჩვენი არა სჯეროდათ რა და გვანუგეშებდენ მალე საშობაოთ შინ წავიყვანთო.

ერთხელ რალაცა ჩემდა საუბედუროთ ნაცნობი ჩვენებური გოგონა შემხვდა და სტუმრათ შინ წამიყვანა. შევეყვით ლაპარაკს ჩვენ თავგადასავალზე და სრულიათ დამევიწყდა თუ დიასახლისი მომისაკლისებდა, და დროზე შინ უნდა დავბრუნებულიყავ, ქუჩები ჯერ ნაკლებათ ვიცოდი, თუ დამაყენებდა კაცი იმ ქუჩაზე სადაც მე ვცხოვრობდი, მერე ადვილათ მივაგებდი, ჩემი ნაცნობი კვახების საშუალებით, რომელიც ვილაც ცხონებულს სახლის აივნის წინ დაეთესა და ბანზე ყვითლათ იყვნენ გადმოკიდებულნი, გამხმარ ბარდებზე დაბჯენილნი. როცა დავბრუნდი ბინაზე, აყვევი ქუჩას, დაგვიანებული იყო. ვხედავ კვახები არსად არი. გავფითრდი თმები ხმელი ხის ღეროებივით ყალყზე დამიდგა.

ახლა წახდა საქმე, დავიკარგე, რა მეშველება. ხან ერთს ვკითხე, ხან მეორეს ჩემი ქუჩის სახელი და ყველა მეუბნება სწორეთ ეგ არისო მე კი არავის უჯეროდი, კვახები არსად იყო, მე უბედურმა ის კი ვერ მოვიგონე რომ კვახის მოწყვეტა ადვილი საქმე იყო. დავდივარ აღმა-დაღმა გამწარებული, მაგრამ ვერ მივაგენი ბინას. ჩემი დიასახლისი გაბრაზებული მთელ ქუჩებს უფლიდა თურმე, ბოლოს როგორც იქნა დავენახე, მომეპარა წამავლო ხელი და ჯიგლიგით სახლისკენ მიკრა თავი. დაიწყო ლანძღვა-გინება, რომელმაც ღამის ათ საათამდინ გასტანა, ჩვენ კი სულ განაბული ვეყარეთ უსიტყვოთ.

ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება. ბოლოს გადავწყვიტეთ შობამდინ მოგვეთმინა და ისე მოვქცეულიყავით რომ ყველაფერი მისი გასაკეთებელი საქმეც გვეკისრნა, რაც უნდა გავგქი-

რვებოდა. შეუდექით ჩვენი მღვთმარეობის გაუმჯობესებას.

— ხვალ ბარბალობაა, გვითხრა დიასახლისმა. ეცადეთ არ გამაინჩხლოთ, თორემ დამეკვებება და სულს ამოგაძრობთ, თქვენი გულსთვის თავს არ დავისნეულებ, ეს კარგათ უნდა იცოდეთ.

ჩვენ გავიტვინეთ, დაბერილი ტიკპორებივით დავეყარეთ ქვეშაგებში. ერთმა ჩვენთაგანმა დაიწყო ბარბალობის ჩვეულებაზე ბაასი, გავისენეთ ყველამ გემრიელი ხაჭაპურები და ისე გავერთვეთ, სულ დაგვავიწყდა თუ ჩვენ ქალბატონს ჩასძინებოდა და ჩვენმა ხმა მაღალმა ბარბალობაზე საუბარმა ძილი გაუფრთხო. აგვიტეხა აურ ზაური, ერთი ბეწვით გადაურჩით დაუყვერავი, დალანძღულები დავისუნგეთ და მიგვეძინა. მოატანა თუარა განთიადმა, ერთს გამოვლვიძა და გადმოგვიჩურჩულა.

— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, რა მოვიგონე. ავღვეთ სანამ მას სძინავს, მივალაგოთ ყველაფერი თავის რიგზე, ჭადი გავაკეთოთ და ფურნეში წავიღებ გამოსაცხობათ, გაეხარდება და შეგვირიგდება.

ძალიან მოგვეწონა იმის აზრი, წამოვხტით ჩავცვით საჩქაროთ, გავცვივდით სამზარეულოში. ერთი ვცრიდით, მეორე კეცს ვწმენდით, მესამე ვზელდით. გაჩაღდა საქმე, გავაკეთეთ ულამაზესი ჭადი, ჩავასვენეთ კეცში და გავატანეთ ჩვენ მოწინავე აზროვანს. სრული დამშვიდებული, რომ საქმე კეთილათ მოვაგვარეთ, ჩვენ შინ დავრჩით სახლი დავალაგეთ და დიდათ ნასიამოვნები შეუდექით პარის ფარეშობას. შევდგით სარკე ფანჯარაზე და დავიწყეთ ბარბალობის პტივისცემისთვის პრანქვა-გრება. მაგრამ ჩვენი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩვენ საუბედუროთ ფანჯარაში მოგველანდა თუ მართლა, არა შართალი იყო. ჩვენი ამხანაგი ცრემლის ღვარში ამოვლებული, კეცის ნამტვრევებით და ერთი გუნდა ცომით გამოეცხადა ჩვენს ბრწყინვალებას. იმაზე უმწარესი ელდა, იმაზე ძლიერი მწუხარების განცდა ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ პირველი იყო და როგორი ბოლო ექნებოდა ვინ გამოიცნობდა.

— რაღა ექნათ, საშუალებაც არ გექონდა გავქცეულიყავით, რომ ვინმე მშველელი გამოგჩენოდა, მის დღეში ჩვე-



ნი ცოდვით არაფერი გუქირდებოდა. სკოლაში ვაჩვენებდით, გვიანდებოდა, გადავწყვიტეთ უსაუზმოთ გაპარვა.

აფელეთ თუ არა ჩვენი წიგნები და ის იყო გულის ფანჯრით კარებს მიუახლოვდით გასაპარავათ, რომ ცისქუხილივით მოგვესმა დიასახლისის ხმა.

— სად წახვალთ თქვე ასეთებო, კეცი მალე, კეცი და ხუთი გირვანქა ფქვილი, თორემ თქვენს უცოდვილესს დაბმულ ძაღლს არ გაეხდით.

დახოცილები შემოვბრუნდით ოთახში, გონ დაკარგულებს, გვიკვირდა, სიდან, ან რანაირათ გაიგო ყველა ეს ჩვენი მოქმედება, მაგრამ ნუ იტყვი სულ მოყურებულის ყოფილიყო და თვალს გვადევნებდა თურმე.

გულ მოსულმა გამოგვიკეტა ოთახის კარები და თითონ წავიდა მეზობლებში. ვეყარეთ დითხანს კარჩაკეტილი, ხმას არავინ გვემდა. შამშილითკუქი გაეწოდა, მაგრამ პატრონი არსით იყო.

ბოლოს როცა გადვიდა სული და გული. ერთ ჩვენგანს ჩაეძინა. ორი ერთმანერთს კატებივით შეეჩერებოდით თვალებში. უცებ ვილაცას ფეხის ხმა მოისმა და ჩაახველა.

— უიმე კოსტა, კოსტა, წამოიძახა ამხანაგმა, თინათინა, გაღვიძე, კოსტა მოვიდა, ჩვენი ბიჭი კოსტა. წამოვცინდით ზეზე, დავეძგერეთ კარებს, მაგრამ ვერ გავადეთ, ვყვირით „ხაზეიკა, ხაზეიკა“ მაგრამ პასუხა არსით მოისმოდა.

— იმე ბოშო, რას ჩაკეტილხართ მაგ კოლოფში, რიხიანი ხუმრობით გამოგველაპარაკა კოსტა, — თქვენ პატრონს რომ კიბო „გოროდში“ ვზდიო და „გოროდი“ კი არა, საქათმეში დაუმწყვდევინებო.

ჩვენ გადავკისკისდით. ამასობაში ჩვენი დიასახლისიც მოვიდა ქაქანით და ხურჯინის დანახვანზე პირზე ნერწყვი მოადგა კარი გაუღო და უთხრა.

— იცი ჩემო კოსტა, საშინელი ავითმყოფობაა და ბავშვები შინ ვერ გავაჩერე, შემეშინდა გაცივების და ოთახში დავამწყვდიე.

ჩვენ თვალებით გადავხედეთ ერთმანერთს და მთელი დღის მშვიერება მსუქან ლობიან ხაჭაპურებს კმუნა დაუწყეთ. სულ დავგავიწყდა ჩვენი მწარე წარსული და უსიამოვნობა, კოსტამ გაგვეკურნა, ჩვენმა კოსტამ.

(გაგრძელება შემდეგ)

## მეჯინიზე მუჟ.

(ძველის ძველი თქმულება ქრისტიანობის პირველ საუკუნეების დროიდან).



რისტეს მოციქულებმა თავიანთი თავდაუზოგველი და მოწამებრივი ღვაწლ-შემოსილობით ჩქარა მოპფინეს თავის ღვთაებრივი მოძღვრის, იესო მაცხოვრის სწავლა მსოფლიოს ყოველ კუთხეში და თუმცა ისინი თვითონ ველარ მოესწრენ, მაგრამ იმათგან დადგენილნი მწყენს-მოძღვარნი მაინც მოესწრენ იმას, რომ მესამე საუკუნის დამლევს და მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოძღვრება თავისუფლათ აღიარებულ

ლი იქმნა.

აფრიკის ერთ-ერთ მხარეში, მდინარე ნილოსის ნაპირებზედ, ამ ხანებში მეფობდა ერთი ქრისტიანი მეფე, სახელათ ნიგვზარი. ღმერთს დაეჯილდოებია ნიგვზარი, როგორც სიბრძნე-ჭკუა-გონებით, ყოველად ღირსეული ცოლშივლით, გამოუთქმელი ავლადიდებით და ქონებით. თუ ბედნიერათ სთვლიდა მეფე ნიგვზარი თავის თავს, მასზედ ას ზომ ბედნიერებას განიცდიდა მისი სამეფო, მისი ყოველად ბრძული და ღვთისნიერ მართვა—გამგეობით.

მეფე ნიგვზარს ჰქონდა კარის ეკკლესია, სადაც განუწყვეტილად სრულდებოდა საღვთო წირვა-ლოცვა და ეს ღვთისნიერი მეფეც ცისმარე დღეს უკლებლივ ესწრებოდა



ხოლმე წირვა-ლოცვას და ავედრებდა ზეციერ მეფეს რომ გორც თავისთავს და ცოლშვილს, ისე თავის სამეფოს. ერთხელ მეფემ წირვის გათავების შემდეგ საწიგნოებზედ მდგომ მწიგნობრისაგან გაიგონა ღვთის ფსალუმნებიდან ამოკითხული სიტყვები: „მდიდარი დაგლახაკდა და შეემშია, ხილო რომელი ეძრებდეს უფალსა, არა ნაკლულევან იქმნეს ყოვლისაგან კეთილისა“-ო. გაიგონა თუ არა ეს, მეფემ მაშინვე მოიხზო კარის მოძღვარი მწიგნობართურთ და უბრძანა, „ეგ სიტყვები მეორეჯერ აღარ გამაგონოთ ეკლესიაშიო,—განა არ იცით, თქვე უფნურებო, რომ ჩემისთანა მდიდარი და მქონებული დედამიწის ზურგზედ სხვა არავინ მოიძებნება, და განა შესაძლებელია, რომ მე ოდესმე დავგლახაკდე და მომემშია-სო?..“ ბრძანა განრისხებულმა მეფემ.

დიღხანს, ძალიან დიღხანს ეწინააღმდეგებოდენ მეფეს მისი სასახლის კარის მოძღვარი და მწიგნობარი საღვთო წერილში ამ სიტყვების ამოშლას:—როგორ შეიძლება ამ სიტყვების ამოშლა, ესენი ხომ ზეგარდმო მალღით შთაგონებით არიან წინასწარმეტყველის მიერ ჩაწერილიო,

მოახსენებდენ ხოლმე ისინი მეფეს. მაგრამ მეფე მაინც თავისას არ იშლიდა და კიდევაც ამოაშლევინა ისინი წიგნიდან.

გავიდა ამის შემდეგ რამიადენიმე ხანი. მეფე ნიგვზარი ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს მარტოთ მარტო გავიდა სასახლიდან და გაემართა მდინარე ნილოსის ნაპირებისკენ საბანაოთ. ფეხით გადაიარა მშვენიერი საბალახო ველები, რომლებსაც ამშვენებდა მუხლებამდის ხავერდის მსგავსათ მობიბინე მწვანე ბალახი. ამ ველზე იმ დღეს მრავლათ თავი მოეყარათ მწყემსებს და აძოვებდენ ურიცხვს თხა-ცხვარს და ხარ-ძროხას. მეფის დანახვაზედ მწყემსნი მწყობრათ ეწყობოდენ და მოწიწებით თავს უკრავდენ თავიანთ სათაყვანო მეფეს. მეფე მივიდა მდინარის ნიპირთან, და ცოტა ხნის შესვენების შემდეგ, ტანთ გაიხადა და საბანაოთ შიგ შეცურდა.

დიღხანს დარჩა მდინარეში მეფე ნიგვზარი და ბანაობა მოეწყინა და თანაც მზემაც იწყო თანდათან ცის კიდურისაკენ მიახლოვება, მეფე მდინარიდან ამოვიდა და გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც იმან თავისი სამეფო ტანსაცმელი დააწ-

ყო, ტანთ უნდა ჩაეცვა და ბანაობისაგან შეგრილებული სხეული შეეთბო და თან შინისაკენაც წამოსულიყო, მაგრამ, დახე უბედურებას: ტანისამოსი თავის ადგილზედ აღარ დაუხვდა. სახტათ დარჩა. აიარ-ჩამოიარა მეფემ მდინარის პირზედ: ეძებდა—ეკვების აქ არ დამიწყევია ტანისამოსი, არამედ იქაო, მაგრამ მაინც არაფერი გამოდიოდა. მეფის ტანისამოსი პირწმინდათ გაქრა და მის ნახვას არა ეშველა რა. მეფემ მაშინავე ექვი მწყემსებზედ მიიტანა:—უთუოდ ისინი მოშპარავდნო და ძალზედ განრისხებულმა შიშველ-ტიტველმა მეფემ მათკენ მიაშურა. მწყემსებმა რა დაინახეს ტიტველი კაცი, ჯერ საშინლათ შეშინდნენ, იფიქრეს: ეს უთუოდ ტყის ან წყლის ქაჯს რომ იტყვიან, ის იქნებაო, და ერთად შეჯგუფდნენ. მეფე მიუახლოვდა მათ და მრისხანეთ დაუყვირა:—როგორ გაბედეთ, თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, ჩემი ტანისამოსის მოპარვა. მწყემსებმა რომ გაიგეს ადამიანი ყოფილა და არა მავნე ვინმეო, ცოტა გული დაიმშვიდეს, მაგრამ თანაც გაიოცეს; რომ ეს ტიტველი კაცი თავის თავს მეფეს უწოდებდა და იმათ ტანისამოსის მოპარვისათვის სარჯელით ემუქრებოდა- იფიქრეს, ეს უთუოდ ხელი ვინმე იქნება და ვაი თუ ან მეფე და ან ჩვენ რამე უბედურებას გადაგვიკლავსო. აკი ჩვენ თვითონ დავინახეთ რომ მეფე მდინარისაკენ საბანაოთ წაბრძანდა და ბანაობის შემდეგ სამეფო ტანსაცმელითვე სასახლისაკენ მიბრძანდებოდაო. ეს გიჟი ვინმე უნდა იყოსო. აბა ბრძებო, არ შეშინდეთ და ეგ ვილაცა გიჟია, მაგრათ შევბოქოთო. ეძგერენ ყოველი მხრიდან. მეფე თუმცა დიდის ძალღონის პატრონი იყო, მაგრამ აბა ერთი რას გააწყობდა რამოდენიმე ათეული ლომ-ვაჟაკებთან, და რამოდენსამეწუთში თოკით მაგრათ შეჭკრეს და მიწაზე დააწვინეს.

მეფემ რა დაინახა საქმე ცუდათაო, ცოტა მოლბა და იკადრა მწყემსებს შეხვეწნოდა:—მრცხვენია სიშიშვლის და თქვენი ტყპუქი და ფარაჯა მაინც ამფარეთო. თანაც თოკის ცოტა მოშვებასაც ევედრებოდა.

მწყემსები დარწმუნდნენ,—ამ კაცს ჩვენი ვნება არ შეუძლიაო. ისმინეს მისი ვედრება, თოკი სრულიად შეხსნეს, ვინ რა გაიხადა დი ვინ რა და თავინთი ტანისამოსით შემოსეს. ამასობაში გვარიანათ შეღამდა. მწყემსებმა აშალეს თავიანთი

ნახირი და სახლისაკენ მიაშურეს, თან წამოიყვანეს ეს უცხო ვინმე კაციც, რომელიც წამდა-უწუმ იას გაიძახოდა, რომ მე მეფე ნიგვზარი ვარ, გამიშვით, მე ჩემით მივალ სახლში ჩემ ცოლშვილშიო. მაგრამ მწყემსები არიგებდენ, რომ გაჩუმდი, თორემ მეფემ თუ გაგიგო, მაშინვე თავს გაგაგდებინებსო. მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა.

ამასობაში მეფის სასახლესაც მიუახლოვდენ. სასახლიდან გამოიხმეს კარის კაცი, წარუდგინეს ეს კაცი და ყოველივე უამბეს. კარის კაცმა მწყემსები დაარწმუნა, რომ ეგ კაცი ნამდვილ გიჟაო. —მეფეო, —სთქვა კარის კაცმა —თუმცა ამ საღამოზედ საბანაოთ ბრძანდებოდა, მაგრამ კარგა ხანია სასახლეში დაბრუნდა და ამ ჟამათ თავის ცოლ-შვილთან ერთათ ტკბილეულობას მიირთმევს და ცოტა ხნის შემდეგ კი ნახირ-ვეზირებთან გამართავს სამეფო თათბირსაო. ეს კაცი კი დაქინებით და ხმამაღალი ყვირილით მოითხოვდა ალაყაფის კარების გაღებას და სასახლეში შეშვებას; —მეფე მე ვარ და სასახლეში სხვა მეფე არავინ არ არისო. ამ ყვირილმა მიაღწია მეფე დედოფლის ყურამდისაც, აივანზედ გაპობრძანდენ და ხმაურობის მიზეზი იკითხეს. რა გაიგეს კარისკაცისაგან ყოველივე, ბრძანეს იმ კაცის შემოშვება. შემოიყვანეს ეზოში მეფე ნიგვზარი, მწყემსების ფარაჯაში გახვეული, თან მწყემსები ახლდენ. მეფე ნიგვზარმა აივანზედ გადმომდგარი თავისი ცოლი დაინახა, გვერდში უდგენ სამეფო ტანისამოსში გამოწყობილი მეუღლე —მეფით და შვილები, დიდათ გაჰკვირდა. მეტად გააოცა იგი იმ სანახაობამაც, რომ მეფე სრულიად იმასა გავდა და თუ არა იმას, სხვა ხორცშესხმული ადამიანი ვერას გზით ვერ შეიტყობდა, რომ ის მეფე ნიგვზარი არ იყო, არამედ სხვა. მეფე-დედოფალმა რა შეიტყეს მწყემსებისაგან ამ უცხო კაცის ამბავი, ჯერ ბევრი იცინეს და მერე ერთხმათ დაასკვნეს, რომ ეს უთუოდ გიჟი უნდა იყოსო და ბრძანეს: საპყრობილეში ჩააგდეთო.


მათი ბრძანება მსწრაფათ ასრულეს.

ამის შემდეგ გავიდა რამოდენიმე ხანი და ხსენებულ საპყრობილეში მივიდა მეფის სახის მიმღები ანგელოზი და ამ არაჩვეულებრივის ტუსადის ამბავი იკითხა და, რა გაიგო ციხის უფროსისაგან მისი კარგი ყოფა ქცევა და თანაც ღვთის

განუწყვეტელი ლოცვა-ვედრება, ბრძანა სატუსალოდან გაანთავისუფლეთ და ჩემს საჯინიბოში მეჯინიბეთ დააყენეთო. აპნაირათ მეფე ნიგვზარი გახდა მეჯინიბე. ყოველ-ცისმარედღეს სწმენდდა სამეფო საჯინიბოს და განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა მეფე-დედოფლის საჯდომ ცხენებს და მოკუთხვის დროს თავის ხელით მიაართმევდა ხოლმე იმით ოქროვერცხლით მოქედილ, ლახტებით შეკაზმულ არაბულ მერნებს. ლამ-ლამობით კი საჯინიბოშივე იძინებდა და ასე ატარებდა დროს. თანაც თავის მეფობის აღიარება მეტის-მეტათ სცხვენოდა და ამის შესახებ კრინტსაც აღარ სძრავდა, ცდილობდა თავისზედ მაღალთან თუ დაბალთან, ყველასთან ამხანაგურათ და თანხმობით ეცხოვრა, ყველას სიყვარული დაიმსახურა. ამასობაში გავიდა სამი წელიწადი.

სწორეთ მესამე წლის თავზედ, იმ თვესა და იმ რიცხვში, როდესაც მეფე ნიგვზარს ზემორე მოხსენებული რისხვა ეწია ღვთისა, საჯინიბოს ერთ-ერთ კუთხეში ეძინა. შუალამისას ვიღაცამ გამოაღვიძა და უბრძანა, კარში გამოდი და გამომყვიო. ნიგვზარი აღგა და უცნობს კარში გაჰყვა. აქ მან დაინახა, რომ მის წინ დგას სამეფო ტანისამოსში გამოწყობილი მისი მოადგილე. უცნობმა უთხრა ნიგვზარს:—მე ვარ ანგელოზი ღვთისა, ეს ტანისამოსი კი, რომელსაც ჩემზედ ხედავ, შენი სამეფო ტანისამოსია. ესენი მე ჩავიცვი, შენი სახე მივიღე და სამ წელიწადს შენ მაგიერ მე ვიმეფე. შენ კი ეგ გაჭირვება ღმერთმა განგებ მოგაყენა, რომ იცნოთ, როგორც შენ, ისე ყოველმა კაცმა, თუ ღვთის სიტყვა როგორი ჭეშმარიტებაა და არავინ არ უნდა გაბედოს მისი დარღვევა. აი ეს ხომ ყოველივე შენს თავზედ გამოსცადეო. ახლა კი სამის წლის სასჯელი უკვე შეგისრულდა და ღვთის ბრძანებაა, რომ ისევ მეფობა მიიღო და შენს ცოლშვილს დაუბრუნდეს. მხოლოდ შენ მიერ ამოშლილი საღვთო სიტყვები შენისვე ხელით ჩასწერეო.

ამის შემდეგ ანგელოზმა გაიხადა სამეფო ტანისამოსი, ჩააცვა მეფე ნიგვზარს, თითონ მიიყვანა იგი სასახლემდის და თითონ კი უჩინარი შეიქმნა.



# ღამფვარი უბრახელა



*ღამფვარი უბრახელა*

უა ზატხული იღვა, მინდორი პურიტ გაივსო: ხორბალი, დიკა, ქერი, შვრია. მერე რომ იცოდეთ რა კარგი შვრია იყო, მისი ღეროები ტოტებს მიეგვანებოდა და თითქოს ამ ტოტებზე პაწაწა ურიცხვი იადონები რსხდენ. პური მარცვლების სიმძიმისაგან ღირს დახრილიყვენ.

აქვე ახლოს, მინდორში იღვა დიდიხნის მოხუცი ტირიფი, ეტყობოდა ამ ტირიფს ბევრი ვაივაგლახი ენახ, ბევრი უბედურობა გადახდომოდა. შუა ხეში ფულურო იყო, კანი გახეთქოდა და იქიდან მოჩანდა მწვანე ხავსი. სიბერისაგან ტირიფი გადმოზნეკილიყო და მისი ტოტები მიწას მწვანე თმებივით ჩახუტებოდა.

ხუტებოდა.

სწორეთ ამ ტირიფის პარდაპირ იყო უგრეხელას მინდორი; უგრეხელა სხვა პურივით არ იყო მიწაზე დაშვებული, ის ამპარტავნულათ და ამყურათ გამოიყურებოდა, თავი მალლა ექირა.

— მე პურის მარცვალზე ღარიბი არა ვარ, სილამაზითაც კი ვერ შემედრება, ასე მოჰქონდა თავი ჩვენ ამყ უგრეხელას.

— სილამაზით იქნება ვაშლის ხესაც არ ჩამოუვარდე, ვინც ჩემ ყვავილებს შემოხედავს ესიამოენება და მოვეწონები.

— აბა მითხრ ტირიფო, ჩემისთანა ლამაზი ვინაა ხავს თუ არა სადმე?

ტირიფმა თავის ვერცხლის ფერი თავი დახარა, აშრიალდა, თითქოს უნდოდა ეთქვა—რასაკვირველია მინახავსო, მაგრამ უგრესელამ არ დააცალა გამოეთქვა იმას თავისი აზრი, თავ მომწონეთ გადახედა, გაშალა ფოთლები უფრო ფართეთ და შედიდურათ წამოიძახა:

— შე სულელო ბებრუცანა ტირიფო, შენთან ლაპარაკი არა ღირს, იქამდის მიგიხწევია, რომ შენს ტოტებსაც კი ხავსი მოჰკიდებია!

უცბათ ამოვარდნილმა ქარიშხალმა უგრესელას ლანძღვა გააქარწყლა. ქერმა, დიკამ და სხვამ თავის ღეროები უფრო ძირს დაუშვეს, ყველა ყვავილებმა ერთწამს თავის ყვავოლები შეკუმშეს და ქარის წინ პატარა თავები დახარეს, მხოლოდ უგრესელა ისევ გაქიმული იდგა და ამაყათ გაიყურებოდა ირგვლივ.

— დაიხარე შენც ჩვენსავით, უჩურობულებენ ყვავოლები.

— არა და არა, უპასუხა უგრესელამ.

— დახარე ჩემსავით თავი, უყვირიდა დიკა, — არა ხედავ რა საშინელი ქარიშხალია? შენ ფურცლებს ხომ მიწასთან გაასწორებს, გაფანტავს შორს.

— ეს ლა მაკლია, რომ ვილაც ქარის წინ თავი დავხარო, არ მინდა, არა!

— მე მაინც დამიჯერე, ჩემისთანა მოხუცს მგონი რომ დაეჯერება, უთხრა ტირიფმა. — ეს უბედურება ხომ დროებითია, ამ ძალას ვერ მოერევი. მიმალე შენი ყვავილები, დახარე შენი ფოთლები, და ნუ უყურებ აგრე შეუპოვრათელვას. აღმიანიებიც ვერ ბედავენ პირდაპირ შეხედვას, რადგან შესაძლოა მან დააბრმავოს. ჩვენ უბრალო მცენარეებს რა შეგვიძლიან, როცა აღმიანიებსაც საფრთხე მოელოთ ამ ქარიშხლის დროს.

— რას ამბობ, როგორ იუ უბრალო მცენარეებიც ვერ ბედავენ, შეჰყვირა უგრესელამ—მე სულაც უბრალო ვინმე არა ვარ, შენ ჯიბრზე მე პირდაპირ ცას შევხედავ, ვნახოთ რა იქნება!

და უგრესელამ თავი უფრო მაღლა ასწია და ცას შეხედა.

ელვა კი თანდათან მატულობდა, მთელი არე-მარე ცეცხლში იყო, ქარი ბობოქრობდა, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ ელვა-ქუხილმა, ქუხილიც მალე შეწყდა, ღრუბლები გაიფანტენ, მზემ გამოანათა, ყველა ყვავილები და პური წვიმის შემდეგ გამოცოცხლდნენ, სუფთა ჰაერისაგან სურნელობა მოეფინა არე-მარეს, მხოლოდ ჩვენი მედიდური უგრეხელა ნახშირივით გაშავდა. ელვამ დასწვა და უბრალო, უვარგის ბალახათ აქცია.

ის არავინ არ შეიბრალოა, მხოლოდ მოხუცმა, მრავალტანჯულმა ტირიფმა მეტათ საცოდავად განძრია ტოტები და მისი ვერცხლისებურ ფოთლებიდან, როგორც ცრემლები ისე გადმოცვივდნენ წვიმის წვეთები. მაშინ ტირიფის ტოტებზე მჯდარმა ბელურამ, რომელიც ეხლა მხიარულათ ჭიკჭიკებდა ჰკითხა:

— რას სტირი მოხუცო ტირიფო?—განა აქ მინდორში არ გემყოფება? განა აქ მინდორში ღვთის მადლით სასიამოვნოს ვერას ხედავ?—შეხე, რა მშვენიერათ ბრწყინაყს მზე! როგორ ნელა დასურავენ ღრუბლები მოწმენდილ ცაზე, რა კარგი სუნია ყვავილებისა და მწვანე ბუჩქებისა. რა გატირებს, ნეტავი?

ტირიფი მოუყვა ბელურას ამაყ და თავ-მომწონე უგრეხელაზე და საუბრის დროს უფრო ათრთოლდნენ ვერცხლისებური ფოთლები და უფრო მეტი წვეთები ცვივოდა ძირს, თითქოს ტირიფს აგონდებოდა თავის სიყმაწვილე და ეს უფრო იწვეკდა მწუხარებას, რომ სიამპარტავენმ და მედიდურობამ ასე უდროვოთ დაღუპა უგრეხელა.

ტასო

(თარგმანი)



## კეთილი გულის—გოგია.



რთ პატარა სოფლის განაპირას, ტყის მახლობლივ ცხოვრობდა ღარიბი მონადირე თავისი ცოლით და პატარა ვაჟიშვილით, — რომელსაც სახელათ ერქვა გოგია. ღარიბი მონადირე ყოველთვის სანადიროთ დადიოდა და მოჰქონდა საზრდო ოჯახისთვის, ამავე დროს მონადარის ცოლი მუყაითათ მუშაობდა სახლში და ზრუნავდა თავის პირმშო შვილის ბედნიერებაზედ.

გოგია გამგონი და კეთილი გულის ბავშვი იყო; აგროვებდა ჩინჩხვარს ცეცხლის ასანთებათ, ზიდავდა ქარისგან დამტვრეულ ხის ტოტებს, მოჰქონდა წყალი მახლობელ წყაროდან, განუწყვეტლივ ფუსფუსებდა და შველოდა თავის ძვირფას დედას.

რადგანაც მათ ახლო-მახლო სხვა ბავშვები არავინ იყო, გოგია დაუმეგობრდა გარეულ ცხოველებს და შეისწავლა მათი ლაპარაკი, — გაზაფხულს ის მერცხლებთან ატარებდა დროს, შემოდგომას — ციყვებთან, იმათ გოგიასთვის მოჰქონდათ კაკლები ტყიდან. მარა ყველაზედ გულითადი მეგობარი გოგიასი იყო, ბუ, — რომელიც სადამოობით მოფრინდებოდა ხოლმე იმის ფანჯარასთან და აძლევდა ათასგვარ ბრძნულ ღარიგებას; კურდღლებთან გოგია დანავარდობდა ზუჩქებში, არწივს მოჰქონდა საჩუქრათ გოგიასთვის უცნაური ქვები და ლოკოკინები შორის ზღვიდან, ლომმაც სრულიად შეიცვალა გოგასთან თავისი ზნე — ჩვეულებანი იქამდის, რომ მასთან ერთათ ჯამში კამდა რძეს და ფუფას.



უცრათ მთელი ეს ბედნიერება, რომელიც სუფევდა განმარტოებულ პატარა ქოხში, გარდაიქცა ჯოჯოხეთათ და ყველას ჯავრით და ბოღმით აევსოთ გული. ამის მიზეზი ის იყო, რომ კეთილი მონადირე ავით გახდა, დედა სრულიათ დაიბნა, რადგან არ იცოდა სად ეშოვნა წამალი ავითმყოფისათვის, რძე და პური კი პატარა გოგისათვის.

ბავშვის გული სიბრაღულით აივსო და ფექრობდა რამე ნაირათ ეშველა თავის დედ-მამისთვის, მარა მას იმდენი ღონეც კი არ ჰქონდა, რომ აეწია თოფი თავის პაწაწა ხელეებით.

— ეჰ, უთხრა ერთ საღამოს თავის მეგობარ ბუს, — მე რომ გამბედავი და ღონიერი ვიყო, მაშინ წავიდოდა მეფესთან და მივიღებდი „საჩუქარს საპოვნელაში“.

— რა არის „საჩუქარი საპოვნელაში“, ჰკითხა ბუმ, რომელმაც ყოველისფერი იცოდა ამის გარდა. მაშინ გოგიამ უამბო, რომ იმათმა მშვენიერმა მღვდის ქალმა, რომელსაც ოქროს თმები ჰქონდა, ავალეები გიშერისა, დაჰკარგა თავისი ძვირფასი თილისმა (ბაზმანდი), რომელიც ინახავდა მის სილამაზეს, ჯანმრთელობას, ვიდრე მას თილისმა (ბაზმანდი) ყელზედ ექნებოდა ჩამობმული. ერთხელ როდესაც მეფის ქალი სასახლის ბაღში ყვავილებში თამაშობდა, ოქროს ჯაჭვი გაუწყდა და თილისმა დაჰკარგა. მთელი სასახლის მსახურნი ფეხზედ დადგენ, გულმოდგინეთ ეძებდენ, მარა ვერ იპოვეს, ბოლოს მეფემ შეჰყარა მთელი თავისი ჯარი და მცხოვრებნი, შეადგინეს პატარა ბავშვის თილისმის ძებნელთა ჯგუფი, მარა ყოველგვარმა შრომამ ამაოთ ჩაუარა. ამასთან რამდენიც დღე და ღამე გადის—მეფის ქალი ჰკარგავს თავის სიმშვენიერეს და ხასიათი სრულიათ ეცვლება, ოქროს თმები სცივია და თვალეები დამქნარ საროს ყვავილს დაემოზავსა.

ბოლოს შეჰკრიბეს ბრძენნი და იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ თილისმა ძალიან შორს უნდა იყოს წადებული, მაშინ მეფემ დანიშნა დიდი საჩუქარი მპოვნელისთვის, დიახ, სთქვა გოგიამ, — მე რომ შევიძლოს საჩუქრის მიღება, ჩვენ ყოველთვის მაძლარნი ვიქნებოდით და აღარც დედას მოუხდებოდა ამდენი ტანჯვა, მამა ჩემიც დაისვენებდა მძიმე შრომისაგან.

მაშინ ბუმ მოიწვია კრება გოგიას მეგობრებისა და ჰკით-

ბა მათ: რა აზრისანი არიან ისინი ამ შემთხვევაში, ერთხმათ სთხოვეს ბუს დარიგება და თავის აზრის გამოთქმა.

— გოგიას შეუძლიან საჩუქრის მიღება, — სთქვა ბუმ, — იმ შემთხვევაში, თუ რომ მას ექნება მოსაზრება, სიმარდე, შორმჭკრეტელობა და ღონე, — ამის მიცემა კი შეგვიძლიან ჩვენ, — მე ვათხოვებ გოგიას ჩემ სიბრძნეს, — კურდღელი თავის სიმარდეს, არწივი თავის შორმჭკრეტელობას, ლომი თავის ღონეს... მაშინ გოგია იპოვის საკვარველ თილისმას.

ყველამ თანხმობა სიამოვნებით გამოაცხადა.

ბუ მიფრინდა გოგიასთან და უამბო ეს გაღწევილილება. — მარა უნდა გახსოვდეს, — უთხრა ბუმ გოგიას, — რომ ყოველივე წუთი ძვირფასია ჩვენთვის, — აი სადაც არის ალიონი თავს ამოჰყუფს — და მე არ შემძლიან ჩემი სიბრძნის უქონლობით დიდხანს გავეძლო, რადგან ჩემს მეტი არავინ არის, რომ განაგოს ფრინველთა ქვეყანა — კურდღელს თუ აღარ ექნება თავის სიმარდე თავს ველარ იხსნის ცბიერ მელასგან? არწივი თუ დაბრმავდა, ის ჩაიჩეხება მთის წვეროკანებზედ, ფრენა რომ სცადოს, თუ ერთ ალაგას იჯდომება, მაშინ სიმპილით მოკვდება. ლომი თუ დასუსტდა მაშინათვე მგლები გაიგებენ და დაჰკლევენ. მაშასადამე ეცადე მაჟე დაბრუნდე. ჩვენ აქ მოვიცდით. ეხლა გასწი ჩქარა!..

გოგიამ მაშინვე თავი ღონივრათ იგრძნო, და ერთი წამიც არ დაუცდია, რომ გაქანდა კურდღლის სიმარდით მეფის სასახლისკენ, სადაც რამდენიმე წუთში იქ იყო და ჩაბერა საყვირს, რომელმაც აცნობა მეფეს, რომ მოვიდა კაცი, რომელსაც სურს იპოვნოს თილისმა.

მეფე განცვიფრდა, როდესაც გოგია დაინახა, რადგან არ სჯეროდა, რომ ასეთ პატარა ბიჭს შეეძლო თილისმის პოვნა. საქმე იმაშია, რომ სასახლის ბრძანების გამორკვევით თილისმა ცხრა თავიან მღვეს ჰქონდა და ვერავინ ბედავდა წასვლას სათხოვნელათ.

მეფის ქალი მაშინათვე წამოდგა ლოგინიდან, გაიხედა ფანჯრიდან და აღტაცებაში მოვიდა გამბედავ ცეცხლის მფრქვევ გოგიას თვალებისაგან და იმისი მხიარული ღიმილით.

გოგიამ სთხოვა, რომ ის აეყვანათ სასახლის მაღალ კოშკზედ; ეს თხოვნა შეუსრულდა. გოგიამ იქიდან შეამჩნია შორს,



ძალიან შორს მდევის სასახლესთან თვით მდევი, ხელში ეჭირა თილისმა და მზის სხივსავეთ ბრჭყვიალებდა. მდევი ატრიალებდა თილისმას თან ბუტბუტებდა, რომელიც გოგიას არ ესმოდა.

—ეს ნამდვილათ კაკალია, შიგ რაღაც კარგი უნდა იყოს. გოგიამ მოჰკურცხლა კურდღლის სიმარდით მდევის სასახლისკენ და ორი წუთის განმავლობაში ის მდევის წინ იდგა და სთხოვდა დაებრუნებინა მოტაცებული თილისმა.

უნდა გითხრათ, რომ მდევი ყოველთვის არ იყო მავნებელი, და შესაძლებელი იყო ბუს სიბრძნით გოგიას გამოერთმია თილისმა, რომ მდევს არ ეცაღნა იმისი კბილით გატეხა, რის გამოც ყველაზედ გრძელი და მაგარი კბილი მოსტყდა და ისე ძრიელ სტიკოდა, რომ ცუდ გუნებაზედ იყო.

ის გაბრაზებული მივარდა გოგიას და რამდენიმე წუთის განმავლობაში დამარცხებული შეიქმნა. გოგიამ ხელთ იგდო თილისმა და გამოქანდა კურდღლის სიმარდით. როდესაც მეფის ქალმა, რომელიც მალა კოშკიდან გაჰყურებდა გზას, —შეამჩნია ბრწყინვალე თილისმა გოგიას ხელში, —ლოყები სწრაფლ აღისფრათ დაეტკუცა, თვალები გაუბრწყინდა, ხელს უქნევდა გოგიას და თან იღიმებოდა. ოჰ, რა სიმზიარულე არ მოიგონეს იმ საღამოსთვის? გოგიას უნდა მიეღო საჩუქარი საპოვნელაში, —იმდენი ოქრო, რამდენსაც მოერეოდა სამი უღელი ხარი იმის დედ-მამის ქონამდის.

მეფე სადილის შემდეგ სულ ოქროს სთვლიდა, დედოფალი კი გოგიას დედასთვის საკუქნაოში აშაადებდა შაქრიანს პურებს და მურაბებს; მეფის ქალმა კი გოგიას სახსოვრათ თავის სურათი აჩუქა.

დიდი დრო მოუნდა ვიდრე სასახლემდის მივიდოდა, ვიდრე აუხსნიდა მეფეს ყოველიფერს, ავიდოდა კოშკზედ და იპოვიდა თილისმას, სძლევდა მდევს და დაბრუნდებოდა სასახლეში; და როცა გოგია აზრს მოვიდა უკვე კარგა დრო გასულიყო. ოქრო გადათვლილი იყო, შაქრიანი პურები, მურაბები შეხვეული, ამ დროს თორმეტმა საათმაც დაჰკრა.

მეჯლისი უნდა დაწყებულიყო პირველ საათზედ, მერე წარმოდგენა, ასე რომ გათენებამ მოაწია. გოგია გამოაწყვეს



ხავერდის ძვირფას ტანსაცმელში და იმაზედ სულ ფიქრობდა, თუ რა მშვენიერათ გაატარებდა დროს მეჯლისში მეფის ქალთან, და რა ბედნიერება იყო რომ ლომის ღონე ჰქონდა. მას უცბათ მოაგონდა დაპარება ბუსთან, ამან ისე იმოქმედა გოგიაზედ, რომ ცოტა გაწყდა გული არ წაუვიდა. ის მაშინათვე მივიდა მეფესთან და უთხრა, რომ ეხლავე უნდა დაბრუნდეს სახლში. მეფე საშინლათ განრისხდა და უბრძანა ასეთი სისულელე აღარ ეთქვა.

— გეუბნები უნდა დარჩე, — უთხრა გაჯავრებულმა მეფემ, — ჩემი ქალი ველარას ისიამოვნებს უშენოთ. ამის გარდა შენ დაჰკარგავ საჩუქარს საპოვნელაში, იმიტომ რომ ხალხსთან დაპარება მაქვს, ვაჩვენო საჩუქარი და მისი მპოვნელი.

გოგია საშინლათ შეწუხდა, რადგან ის ჰკარგავდა იმას, რაც დაიმსახურა და უნდა დაბრუნდეს ისეთივე ღირებულებით, როგორც მოვალა! დაკარგვა ოქროსი რა თქმა უნდა დასანანი იყო; მარა მას მოელოდა უფრო ძვირფასის დაკარგვა, მთელი დღის განმავლობაში ის სტკბებოდა იმ ფიქრით, რომ ის ბრძენია, მარდია, ღონიერი და შორმჭვრეტელი ყველაზედ. ეხლა კი უნდა დაბრუნებულიყო სახლში და ყველა ეს წაერთმოდა.

— ჩემთვის უფრო საჭიროა ღონე, ვიდრე დაბერებული ლომისთვის, რომელსაც უკვე თავისი სიცოცხლე მოუქამია. კურდღლები, ბუები, არწივები ისედაც ბევრია.

მარა გოგია მაინც ავიდა კოშკზედ, რომ ენახა რას შვრებოდა ტყეში ბუ, კურდღელი, არწივი და ლომი. იმან გაიხედა თავის ქოხისკენ რომელიც ძალიან შორს იყო სასახლიდან.

იქ, დიდ მუხის ქვეშ ეგდო უაზროთ ბუ, აბურძენული, ის ისე გამოტყინებულიყო, რომ არ იცოდა რა გაეკეთებინა. იმის ახლო იჯდა დამცინავი ყვავი, აბრაზებდა, დასცინოდა. გოგიას გულში სიბრალულმა გაიღვიძა მარა მალე ჩაიკლა გულში. ახლა დაუწყო ძებნა კურდღელს.

— ოჰო, ეს კარგათ არის! შეჰყვირა გოგიამ მხიარულათ, მარა ამავე დროს შეამჩნია სულ ერთ ნაბიჯზედ შავი სურათი, რომელიც უახლოვდებოდა კურდღელს. გოგიას გულში გაიღვიძა სიბრალულმა.

საბრალო მოხუცი კურდღელი! წამოიძახა გოგიამ, — არ



შეუძლიან გაექცეს უბედურებას!.. მერე მოძებნა <sup>ქვეყნის</sup> გული სრულიად მოეკუმშა, როდესაც დაინახა <sup>საბრალო</sup> ფრინველი გამზნარ ხეზედ მჯდარი სრულიათ ბრმა თვალებით იყურებოდა კოშკისკენ.

გოგია მოჰყვა ძებნას უკანასკნელ მეგობრის — ლომის, რამდენიმე ხანს ვერ დაინახა, რადგან თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე არწივის დანახვის შემდეგ. ბოლოს შეამჩნია საბრალო ცხოველი, წყურვილისაგან დასუსტებული, რომელიც მთელ ძალ-ღონეს ხმარობდა წყალთან მისულიყო. ის უკვე მიფოფილიყო ნაპირამდის, მთელი ძალა გამოლოცოდა და იქვე განუძრევლათ დაჩქინილიყო სულ რამდენიმე ნაპიჯით მოშორებული წყალთან.

მაშინ გოგიას გული სიმბიარულით აივსო, რომ ჯერ კიდევ დრო იყო ეშველა მეგობრებისთვის. უკანასკნელი მზის სხივები ევლებოდა კოშკს, როდესაც გოგიას, სრულიათ დაავიწყდა თავისი მწვანე ხავერდის ტანსაცმელი, მშვენიერი მეფის ქალი და საჩუქარი საპოვნელაში. ის მიბრბოდა რაც შეეძლო მთებზედ, ხან მთის ძირში, ხან ეკლიან ბუჩქბუჩქში, ხან მდინარეზედ ხტებოდა, სტოვებდა ნაფლეთებს თავის ხავერდის ტანსაცმელისას ეკლიან ბუჩქნარებზედ — მიბრბოდა მარდათ ვიდრე მაშინ, როცა მდევისგან მოარბეინებდა თილისმას.

ის მივიდა დანიშნულ ალაგას უფრო, ადრე რამდენიმე წუთით, დაუბრუნა ბუს სიბრძნე, კურდღელს სიმარდე, საბრალო არწივმა თვალები გააღო, დაინახა განთიადი, ვარსკვლავები და საყვარელი სახე გოგიასი. ლომმა მოიკლა წყურვილი და მოწიწებრით სთხოვა გოგიას რძის ფაფა. ასრე გათავდა ეს ამბავი ყველასთვის მშვიდობიანათ.

როდესაც მეფემ უამბო თავის ქალს, რომ გოგიამ სილუღელე ჩაიდინა, მისცა სიბრძნე, სიმარდე, შორმქრეტველობა და ღონე, რომელთაც უშველეს საჩუქრის პოვნაში, რომ ის უიმათოთ შეიქნა ჩვეულობრივი პატარა უღონო ბიჭი, უღირსი თამაშობის მეფის ქალთან, — ქალმა ფეხები დაატყაპუნა, მორთო ტირილი და საშველათ დიდგდა მოიწვია.

დიდდამ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მეფის ქალი სრულიათ მართალია, გოგიამ უნდა მიიღოს თავის საჩუქარი, ეს აუცილებელია და ავრთვე მეფის ქალი მეორეთ რომ გამართავს მეჯლიშს, უნდა მოიწვიოს გოგია, — მას ეცმევა მეფის შესაფერი ტანსაცმელი.

— იმიტომ, განაგრძო დიდდამ, — რომ, ქვეყანაზედ არის ერთი რამ, რომელიც ძვირფასია სიბრძნეზედაც, სიმარდეზედაც, შორმქრეტველობაზედაც და ღონეზედაც — ამას ჰქვია «კეთილი გული».

განო საათაშვილი.



# ჯეჯილი

საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მერვა წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.


გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ზატარებისათვის და მწიწრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ედირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გავზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

## ფასი რედაქციას არ მოუმატავია

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)



ფოსტის აღიარებით. Въ Тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“